პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976
კვირა
9
მაისი
№ 108
(16538)
ფასი
2 კაპ.
1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

9 მაისი გამარჯვების დღე



ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებამ ბრძოლებით ცალხის დიადი -ბედნიერების- დღე სასწაულს გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო, ჩვენო ომგადახდილო ვაჟკაცებო, ძმებო და დედებო!

საბჭოთა ხალხი ქრასოდეს დაივიწყებს ბრძოლის ველზე დაცემულ გმირებს!

დაე ჩვენი ყოველდღიური შეუპოვარი შრომით განვამტკიცეგდეთ სამშობლოს ძლიერებასა და მშვიდობას!

ვეათე-ხარისხის, ეფექტიანობის-ხუთნლედი

ტემპი, ტემპი, მხვნელ-მთესველებო!

მახარაძე. (ხაკ. კორ.). ამინდი ხელსაყრელი არ არის, მაგრამ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ყოველდღე ძლიერდება სოფლისმეურნეობის კულტურების თესვის ტემპი. 8 მაისისთვის 4.273 ჰექტარიდან სამინდი 3.500 ჰექტარზე მეტი დათესეს.

დაწინაურებულთა შორის არიან ონუკაკთის, ცხემლისხიდის, გაღმა ღუბაზუს, მზიანის, მერიის, ხეარბეთის კოლმეურნეობები, რომლებმაც როგორც სამარცვლედ, ისე სასილოსედ სამინდიწ თესვის გეგმა ჯერ კიდევ პირველი მაისისათვის გაანაღდეს.

თესვას ამ დღეებში დაამთავრებენ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ სამინდი 492 ჰექტარი უნდა დათესოს. ამ სამუშაოს მაღალნაყოფიერად ასრულებენ ტრაქტორისტები ტ. მიმინოშვილი, გ. დვალიშვილი, თ. ჯალაბაძე, ს. დევაძე, ზ. მიმინოშვილი, ო. ჩიხლაძე, ფ. ნაკიძე და გ. გობრონიძე. თვითეული მათგანი დღეში 15-16 ჰექტარის თესვს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8 ჰექტარისა.

ბ. ჩხაიძე.

ხობი. („კომუნისტის“ კორ.). სამინდი და სხვა საგაზაფხულო კულტურები აგროვადებში დავთესოთ, მაღალხარისხოვნად, დროულად შევიტანოთ ნიადაგში სასუქი! — ამ დევიზით მუშაობენ ხობელი მხვნელ-მთესველები.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ახალბიბულის კიროვის სახელობის, საჯიჯოს ცხაკაიას სახელობის, პირველი მაისის დიმიტროვის სახელობის, ხეთის ი. ბ. სტალინის სახელობის, საჯიჯოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობები, ჭალონის ბაჭოთა მეურნეობა.

სულ რაიონში სამინდის სამარცვლედ ვეგმით გათვალისწინებული 4.452 ჰექტარიდან დათესილია 4.100 ჰექტარზე მეტი.

გ. ნოდია.

ზეგზეგმითი სათბობი

ბაკიბული. (ხაკ. კორ.). ორჯონიკიძის სახელობის შახტის (დირექტორი ი. ორჯონიკიძე) კოლექტივმა ვადაზე ცხრა დღით ადრე შეასრულა ქვანახშირის მოპოვების ოთხი თვის სახელმწიფო დავალება და გეგმის გადამეტებით ათასობით ტონა ენერგეტიკული სათბობი ამოიღო, აქ ვადამდე შეასრულეს აგრეთვე პროდუქციის რეალიზაციის დავალებაც.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ საექსპლოატაციო უბნები, რომლთაც სამთოელები ბ. ქარქაშაძე, დ. მაღლაფერიძე, შ. ჩაფიძე და ო. გიორგაძე უდგანან სათავეში.

ორჯონიკიძელებმა ოთხ თვეში გეგმის გადამეტებით ამოიღეს ოცი სარკინიგზო ეშელონი ქვანახშირი.

ვ. ციბრეკიძე.

ვიცოდეთ დროის ფასი

ცხინვალი. (ხაკ. კორ.). შეჯიბრების ცხარე დღეებია ელექტროობმაციულო მანქანების ქარხანაში. უბნებს შორის პირველ ადგილზეა მექანიკურ-სამუშაოო უბანი, რომელსაც კომუნისტი, შრომის დამკვრელი ზ. ბაგლოევი ხელმძღვანელობს. ბრიგადებს შორის პირველობას ირავის უთმობს ზეინკალ-ამწყობთა ბრიგადა გ. ჯიოევის მეთაურობით.

საწარმოო მარკის ღირსებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში ირიან მოარავი პ. კოლუბეგოვი, მჩარხავი ვ. ქოქოევი, ხარატები ა. მალიგოვი, ა. გიგოლაშვილი, შემდოგებელი ა. ტასოევი, რომლებსაც მინიჭებული აქვთ წოდება „სუკეთესო თავის პროფესიაში“.

ახლახან ქარხნის ახალგაზრდა მუშებმა გამოიჩინეს ინიციატივა — ყოველდღიური ნორმა ერთი საათით ადრე შეასრულეს.

ვ. თედეევი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევისათვის საბჭოთა კავშირის მარშლის მხედრული წოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საბჭოთა კავშირის მარშლის მხედრული წოდება მიენიჭოს სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. **ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1976 წლის 7 მაისი.

გულითადი მილოცვა

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, ა. ნ. კოსიგინმა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნულ დღესასწაულთან — ფაშისტ დამპყრობთაგან ქვეყნის განთავისუფლების 31 წლისთავთან დაკავშირებით მისალოცი დეპეშა გაუგზავნეს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხ. გუსტავ ჰუსაკს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ამხ. ლუბომირ შტროუგალს.

დეპეშაში ნათქვამია:

ფაშიზმზე დიადმა გამარჯვებამ ჩეხოსლოვაკიის ხალხებს დაუსახა ძირეულ საზოგადოებრივ გარდაქმნათა გზა. სახალხო ხელისუფლების წლებში ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რომლის შექმნის 55 წლისთავი წელს აღინიშნება, თქვენი ქვეყნის შრომელებმა თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვეს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, სამშობლოს ყოველმხრივი პროგრესის უზრუნველყოფაში.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XV ყრილობის შედეგები, რომელიც ღირსშესანიშნავი ნიშანსვეტი გახდა ჩეხოსლოვაკიაში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე, მკაფიოდ ცხადყოფენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის მიღალ ავტორიტეტს, ჩეხოსლოვაკიის მიწა-წყალზე დამკვიდრებული სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების სიმტკიცეს. მომავ ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა მიღწევები, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XV ყრილობაზე მიღებული მომავლის აღმშენებლობითი გეგმები გულწრფელად ახარებენ ყველა საბჭოთა ადამიანს — თქვენს ერთგულ მეგობრებსა და თანამებრძოლებს.

საბჭოთა ავშირში, ხაზგასმულია დეპეშაში, თართოდ აღიარებულია ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის აქტიური მონაწილეობა მოძმე სოციალისტური ქვეყნების იმ შეთანხმებული კურსის განხორციელებაში, რომლის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავება, მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება ევროპასა და მთელ მსოფლიოში.

საბჭოთა ხელმძღვანელებმა მოძმე ჩეხოსლოვაკიის ყველა შრომელს ულოცავს დიდი წარმატებანი ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, ახალი მიღწევები განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში.

მშვიდობისათვის, კომუნიზმის იდეალებისათვის მებრძოლს

საბჭოთა კავშირის გმირის, სოციალისტური შრომის გმირის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ბრინჯაოს ბიუსტის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგი დნეპროძერჟინსკში

საბჭოთა კავშირის გმირის, სოციალისტური შრომის გმირის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის დიდი საბრძოლო და შრომითი დამსახურების აღსანიშნავად გმირის სამშობლოში — დნეპროპეტროვსკის ოლქის ქალაქ დნეპროძერჟინსკში აიგო ბრინჯაოს ბიუსტი, როგორც ეს დადგენილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით.

დნეპროძერჟინსკი. აქ, ყოფილ მუშათა დაბა კამენსკოეში, დაიბადა და შრომითი ცხოვრება დაიწყო ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. მუშის შვილი, იგი ზეინკლად იწყებს მუშაობას მეტალურგიულ ქარხანაში, ნქტიური კომკავშირელი ხდება. აქ მიიღეს ლ. ი. ბრეჟნევი კომუნისტურ პარტიაში. ამ ქალაქში ლ. ი. ბრეჟნევი ხელმძღვანელობდა მუშათა ფაკულტეტს და ერთდროულად სწავლობდა დნეპროძერჟინსკის მეტალურგიულ ინსტიტუტში. ლ. ი. ბრეჟნევმა ინჟინრის დიპლომი „ფრაიდზე“ დაიცვა.

ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის შრომითი ბიოგრაფია ინსტიტუტის დამთავრების შემდეგაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ ადგილებთან. იგი ინჟინრად მუშაობდა მეტალურგიულ ქარხანაში, შემდეგ კი დნეპროძერჟინსკის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იყო. მოგვიანებით ამხანაგი ბრეჟნევი პარტიის დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის მდივანი, ზაპოროჟიეს და დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტების პირველი მდივანი იყო.

სადაც უნდა გიგეზნინა პარტიას ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, იგი ყოველთვის და ყველგან მისთვის დამახასიათებელი ენერგიითა და სიმტკიცით იბრძოდა მისი დიადი საქმისათვის, ინერდა კლასობრივ პრინციპულობას, გერგილიანობასა და თავმდაბლობას, ადამიანთა შეკავშირების უნარს.

პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს, მეტალურგებს, ქიმიკოსებს, მშენებლებს, რომლებსაც მოუწიათ ლეონიდ ილიას-ძესთან მუშაობა, კარგად ახსოვთ, თუ რამდენ ძალ-ღონესა და ენერგიას, გამოცდილებასა და ცოდნას ახმარდა იგი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისა და განმტკიცების საქმეს, ზაპოროჟიესა და დნეპროპეტროვსკის ოლქის შრომელთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

დღეს აქ შეხვდებით ჭაღარა ადამიანებს, რომლებსაც მკერდზ უმშვენებს გმირის ვარსკვლავები, საბრძოლო ორდენები და მედლები, ჭილოფები შრომითი მამაცობისათვის. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ბრინჯაოს ბიუსტის გახსნისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობისათვის დნეპროძერჟინსკში ქვეყნის ბევრი ქალაქიდან და სოფლიდან ჩამოვიდნენ ისინი, ვინც ომის დროს ლეონიდ ილიას-ძის მზარდამზარ იბრძოდა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, ვინც მასთან ერთად შრომობდა მშვიდობიან დღეებში. აქ არიან ლ. ი. ბრეჟნევის თანამოკლელები მე-18 სადესანტო არმიიდან, კავკასიისათვის, ნოვოროსიისკისა და ქერჩისათვის ბრძოლების მონაწილენი, ისინი უაღრესად გულთბილად და გულითადად იგონებენ იმ დღეებს, როცა „მცირე მიწისათვის“ გმირული ბრძოლის დროს მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც „მცირე მიწის“ დამცველთა წინა ხაზზე იყო, მათთან ერთად იზიარებდა ფრონტის ყოველდღიურობის მთელ სიმძიმეს, სტუმრებს შორის არიან, აგრეთვე ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძის თანამებრძოლები, რომლებთანაც ბრძოლით გაიარა უკრაინისა და უნგრეთის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის ფრონტის გზები.

ზეიმზე ჩამოვიდნენ დნეპროპეტროვსკის, ზაპოროჟიეს და უკრაინის სხვა ოლქების ათასობით მუშა და სოფლის მეურნეობის მშრომელი, სტუდენტები, მოსწავლეები, პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

8 მაისს დნეპროძერჟინსკის ოქტომბრის მოედანზე გაიმართა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის გმირისა და სოციალისტური შრომის გმირის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სამშობლოში მისი ბრინჯაოს ბიუსტის გახსნას.

მიტინგის პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. შჩერბიცკი, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ს. გრუშეცკი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. ლიანკო, პარტიის დნეპროპეტროვსკის სწავლო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ფ. ვატრენკო, პარტიის სწავლო და საქალაქო კომიტეტების მიუროების წევრები, ლენინური პარტიის ვეტერანები, ქალაქის წარჩინებული ადამიანები.

მიტინგი გახსნა პარტიის დნეპროძერჟინსკის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ა. თ. გორდიენკომ. ჩვენ უსაზღვროდ ვამაყობთ იმით, თქვა მან, რომ აქ, მეტალურგი მუშის ოჯახში გაიზარდა, თავისი შრომითი და პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყო ლეონიდ ილიას-ძემ. იგი აქ გახდა კომუნისტი, მიიღო ბოლშევიკური წრთობა, აქედან დაიწყო მისი დიდი და მგზნებარე ცხოვრება ხალხის ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის. დღეს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი ჩვენი პარტიისა და ხალხის საყოველთაოდ აღიარებული ლიდერი, თანამედროვე მსოფლიოს გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეა.

ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ბიუსტის გახსნა დიდი მოვლენაა ქალაქის, ოლქის, მთელი ჩვენი ქვეყნის შრომელთა ცხოვრებაში.

ვ. ვ. შჩერბიცკიმ გადაჭრა წითელი ლენტი. ჩამოახსნა საპურავი და დამსწრეთა წინაშე გრანიტის კვარცხლბეკზე აღიმართა მშვიდობისათვის, კომუნიზმის იდეალებისათვის მებრძოლის, ორგზის გმირის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ბრინჯაოს ბიუსტი. ამ ნაგებობის ავტორები არიან რუსეთის სსსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მოქანდაკე ვ. ა. სონინი, არქიტექტორები ს. ი. კულეკი და მ. ნ. კრუგლოვი. მოედანზე ქუხს ხანგრძლივი ტაში. ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირის ჰიმნს და უკრაინის სსრ ჰიმნს.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ამხ. ვ. ვ. შჩერბიცკიმ.

დღეს ინდუსტრიულ დნეპროძერჟინსკში — მდიდარი პროლეტარული ბიოგრაფიის ქალაქში — ღირსშესანიშნავი, დაუვიწყარი მოვლენა მოხდა, თქვა მან, ჩვენ გავხსენით საბჭოთა კავშირის გმირის, სოციალისტური შრომის გმირის, ჩვენი ძვირფასი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ბრინჯაოს ბიუსტი.

არსად და არასოდეს ისტორიაში ასეთი პატივისცემა არ ჰქონია გმირ ადამიანს, როგორც ოქტომბრის ქვეყანაში, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში. ჩვენში გმირთან ერთიან მწყობრში არიან მეშახტე და მხვნელ-მთესველი, მშენებელი და მეცნიერი, მეომარი და სახელმწიფო მოღვაწე. ეს ჩვენი სოციალისტური დემოკრატიის ჭეშმარიტად ჩინებული ნიშანი, ჩვენი ცხოვრების საბჭოთა წესის დადებული ტრადიციაა.

ლეონიდ ილიას-ძის სამშობლოში ღღეანდელი ზეიმი მკაფიოდ მოწმობს საყოველთაო-სახალხო მადლიერებას იმ ადამიანისადმი, რომლის თვალსაჩინო შრომითი და საბრძოლო გმირობა გმირის ორი ოქროს ვარსკვლავით აღინიშნა. ვფიქრობ, რომ საერთო აზრს გამოთქვამ, თუ ვიტყვი: დღეს ჩვენს სიამაყესა და სიხარულს, ძვირფასო დნეპროძერჟინელებო, გულწრფელად იზიარებენ საბჭოთა უკრაინის ყველა მშრომელი, მთელი საბჭოთა ხალხი.

ღრმა შინაარსით არის აღსავსე ის ფაქტი, რომ ამ ზეიმზე ჩვენ შევკრებიდთ ღირსშესანიშნავ დროს—ჩვენი პარტიის XXV ყრილობის დამთავრების რამდენიმე ხნის შემდეგ და დიადი გმირობის 31-ე წლისთავის წინ.

ყრილობას დღეებში მასობრივი ინფორმაციის თანამედროვე საშუალებებმა — ტელევიზიამ და რადიომ, გაზეთებმა და კინომ — თითქოს გაიფართოვეს ყრილობათა სასახლის დარბაზი. მილიონობით ჩვენი თანამემამულე, ჩვენი საზღვარგარეთელი მეკობარი თითქოს გახდა მისი მონაწილე, განიცადა ამაღელვებელი გრძნობა, რომ ეზიარა კრემლში მიმდინარე ამბებს, ცდილა აღიგსო უდიდესი სიამაყით ჩვენი ლენინური პარტიისათვის, ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის.

მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ ყრილობის სული და გული, მისი მედროშე იყო ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი. მას ტაშს უკრავდა ყრილობა, მთელი ჩვენი ქვეყანა, პლანეტის ყველა პატიოსანი ადამიანი. და ეს, ამხანაგებო, უაღრესად კანონზომიერია.

ყრილობის მუშაობასა და ისტორიულ დოკუმენტებში, უწინარეს ყოვლისა, ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში, რომელიც გამსჭვალულია რევოლუციური ოპტიმიზმის, გერგილიანობისა და რეალიზმის სულისკვეთებით. მკაფიოდ გამოვლინდა ჩვენი პარტიის ნოვატორობა, მისი კოლექტიური ნება და ენერგია. ყრილობამ ახალი ძალით ცხადყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, როგორც თეორეტიკოსისა და პოლიტიკოსის, ჩვენი პარტიისა და ხალხის ლიდერის, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ყველაზე ავტორიტეტიანი მოღვაწის, თვალსაჩინო თვისებები.

მარქსი, ენგელსი და ლენინი, რომლებმაც გამოავლინეს და დაასაბუთეს მუშათა კლასისა და მისი პოლიტიკური ავანგარდის — კომუნისტთა პარტიის მსოფლიო-ისტორიული მისია, ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდნენ ნაცად პროლეტარულ ხელმძღვანელთა უდიდეს როლს, რომელთაც შეუძლიათ ავიდნენ დიდ სიმაღლეზე, ხედავდნენ უფრო შორს და მეტს, შეუძლიათ წარუძღვნენ მასებს გაბედულ რევოლუციურ მოქმედებაში, კომუნისტური აღმშენებლობის დიდ საქმეში.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „არცერთ კლასს ისტორიაში არ მოუღწევია ბატონობისათვის ისე, რომ არ წამოიყენებინოს თავისი პოლიტიკური ბელადები, თავისი მოწინავე წარმომადგენლები, რომელთაც მოძრაობის ორგანიზებისა და ხელმძღვანელობის უნარი შესწევდათ“.

თავისი კლასისა და ხალხის სწორედ ასეთი წარმომადგენელი, ლენინური ტიპის მოღვაწე, ჭეშმარიტად პარტიული უღლოსოფიისა და სიხელისს მქონე ადამიანია ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს დიდი ნიჭი აქვს იმისა, რომ ადამიანებს შორის დამკვიდროს შემოქმედებისა და ნდობის, პატივისცემისა და მომთხოვნელობის ატმოსფერო. იგი სრულად ფლობს დიდ პოლიტიკურ ხელოვნებას, თავისი გადაწყვეტილებებითა და მოქმედებით გამოხატოს ხალხის ინტერესები და მისწრაფებები, შეაკავშიროს და წარმართოს მასების, დიდი კოლექტივების მუშაობა, და უწინარეს ყოვლისა, პარტიისა და სახელმწიფოს იმ ყველაზე კომპეტენტური და უაღრესად ავტორიტეტიანი ხელმძღვანელების მოღვაწეობა, რომლებიც შეადგენენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კოლექტიური ხელმძღვანელობის ბირთვს — ჩვენს ლენინურ ცენტრალურ კომიტეტსა და მის პოლიტბიუროს.

ლეონიდ ილიას-ძის მთელი მგზნებარე და მრავალმხრივი მოღვაწეობა ყველა საბჭოთა ადამიანს აძლევს ომის მკაფიო მაგალითს, თუ რას ნიშნავს სამშობლოს წმინდა სიყვარული, ლენინურად ცხოვრება და მუშაობა.

შთაგონებით და ნაყოფიერად შრომობს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი ჩვენი პარტიის უმაღლეს პოსტზე და მთელ ამ პერიოდში, როგორც ყველასათვის კარგად არის ცნობილი, დინამიკურად, განუხრელად და ალმავალი ნაბიჯით ვითარდებოდა ჩვენი ქვეყანა, იზრდებოდა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა. კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ყველა ერისა და ეროვნების ლენინური მეგობრობა და ერთიანობა. არსებითად გაუმჯობესდა ხალხის კეთილდღეობა, კიდევ უფრო აყვავდა მისი სოციალისტური კულტურა.

ყველა ჩვენთანგანისათვის ეს ჩვენი სამშობლოს მოწმენდილი ცის ქვეშ მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის წლები იყო, თქვა შემდეგ ვ. ვ. შჩერბიცკიმ. და დღესაც, გამარჯვების საყოველთაო სახალხო დღესასწაულის წინ, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა ადამიანებისათვის მშვიდობა ორმაგად უფრო ძვირფასია, რადგან მათ კარგად იციან, თუ რა არის ომი.

ჩვენმა ხალხმა და მისმა სახელოვანმა შეიარაღებულმა ძალებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს ფაშიზმისა და მილიტარიზმის განადგურებაში, თავიანთ ზურგზე გადაიტანეს ომის ძირითადი სიმძიმე. საბჭოთა ხალხის უკვდავი გმირობა, რაც მათ დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში გამოიჩინეს, მარად იცოცხლებს მადლიერი კაცობრიობის ხსოვნაში.

დნეპროძერჟინსკი. მიტინგი, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის გმირისა და სოციალისტური შრომის გმირის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სამშობლოში მისი ბრინჯაოს ბიუსტის გახსნის.

ნაკლსი-საქინფორმის ტელეფოტო.

(დასასრული მე-3 გვ.)

8 მაისი

„პრავდის“ ფურცლებზე

პროგრესის მძლავრი იარაღი

ასეთი სათაური აქვს გუშინდელი ნომრის მოწინავეს. „სოციალისტური ჯალდებულებები, — წერს გაზეთი, — რომლებიც რესპუბლიკებს, მხარეებისა და ოლქებს, ქალაქებისა და საწარმოების მშრომელებმა იკისრეს მეათე ხუთწლედის პირველ წელს, როგორც ფესი, გათვალისწინებულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების კონკრეტული ღონისძიებებში. ეს კანონზომიერია. ჩვენს ქვეყანაში მეცნიერება ხულ უფრო ხდება უშუალო საწარმოო ძალა. მთელი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესების მძლავრი საშუალება, პარტიის მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიური პროგრამის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი. მეცნიერება უდიდეს როლს ასრულებს ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის დონის ამაღლებაში. მშრომელთა კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში“.

ფრიად საგულისხმოა, ერთი თაობის სიცოცხლის მანძილზე როგორ იცვლება ზოგიერთი ცნება. ვთქვათ, ასეთი: „მიურეებული ადგილი“. დღელაპარაკები ყველაზე შორეული მხარეების კაცს, ჰკითხავ თავისი მხარის ამბებს და იგრძნობ, რომ ამ კუთხის ცხოვრება მთელი ქვეყნის ცხოვრების რატმშია ჩართული.

ასეთი ადგილია კოლოგრივი. რა კეთილ, გულისგასახარ საქმეებს არ შეხვდები აქ! დადგენილებამ რუსეთის არაშავმიწანიადაგიანი მხარის შესახებ, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებმა ახალი ნაული პერსპექტივები გადაშალა კოსტრომის ამ „მიურეებული ადგილის“ წინაშე. და დასახულ-გამიზნულის განხორციელება ბევრად არის დამოკიდებული, როგორ იყენებენ პარტიული ორგანიზაციები ინიციატივას, გამოცდილებას, ადამიანების უნარს. ხოლო თვითონ კოლოგრიველები რარიგ ახერხებენ ამას, — მეთხველს მოუთხრობს პარტიის კოსტრომის ოლქის კოლოგრივის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი ნ. კუნიკოვი.

თუ როგორ სჯედა ჩვენი ხალხი გამარჯვებას, ლაპარაკია სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირის, საბჭოთა კავშირის მარშლის ი. იაკუბოვსკის წერილში — „გამარჯვებას ხალხი სჯედა“. გამარჯვების 31-ე წლისთავს ეძღვნება აგრეთვე გაზეთის კორესპონდენტის ი. ზახაროვის წერილი — „პარლვეების დღეს“ (რუბრიკა — „დიდი სამამულო მატიანიდან“). ომისა და შრომის ვეტერანთა ხაჭმეებს ასახავს ფოტორეპორტაჟი, რომელიც პირველ გვერდზეა გამოქვეყნებული.

ლიტერატურის მოყვარულთ შეუძლიათ წაიკითხონ ი. სმელკოვის ლიტერატურული შენიშვნები — „ფანტასტიკის სამუარო“, ხოლო ალზრდის საკითხებზე გაზეთი ბეჭდავს ქ. ოდეხის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტის, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ბ. რიდკოს სტატიას — „პროფესიის შეცნობის ფამს“ (რუბრიკა — „ხტუდენტური წლები“).

გუშინ მოსკოვში გაიხსნა ბალახის ჰოკეის პირველი ტურნირი, გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ პრიზზე. ამის გამო დაბეჭდილია დ. ფირსოვას წერილი — „ჰოკეის გოგონებიც თამაშობენ“.

ПРАВДА

საბჭოთა კავშირი ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ინდირა განდის მოკლეული ვიზიტის შესახებ

მიღებული შეთანხმების შესაბამისად ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი საბჭოთა კავშირში უფიციალური ვიზიტით ჩამოვა წლეულს ივნისის პირველ დეკადაში.

მშვიდობისათვის, კომუნიზმის იდეალებისათვის მებრძოლს

საბჭოთა კავშირის გმირის, სოციალისტური შრომის გმირის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ბრინჯაოს ბიუსტის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგი დნეპროძერჟინსკში

(დასასრული).

სიამოვნებით მინდა შეგატყობინოთ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს მიენიჭა საბჭოთა კავშირის მარშლის მაღალი მხედრული წოდება. ეს არის ამხანაგ ბრეჟნევის, როგორც გამოჩენილი სტრატეგისა და ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ორგანიზატორის, დამსახურების აღიარება.

ყველა პოსტზე ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა ბევრი რამ გააკეთა და კვლავაც აკეთებს ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, იმპერიალიზმის აგრესიული წრეების ხრიკების აღკვეთისა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის.

მსოფლიო პროგრესულმა საზოგადოებრიობამ დიდი შეფასება მისცა ლეონიდ ილიას-ძის უდიდეს წვლილს ომის საფრთხის თავიდან აცილების საქმეში და სამართლიანად მიანიჭა მშვიდობის საერთაშორისო ლენინური პრემია და ჟოლიო-კიურის სახელობის medal.

მთელი ისტორიული გამოცდილება დამაჯერებლად მოწმობს, რომ ცხოველმყოფელი და ნაყოფიერი ჩვენი პარტიის ლენინური საგარეო პოლიტიკური კურსი, საბჭოთა კავშირის მშვიდობის პროგრამა, რომელსაც განუხრელად ახორციელებენ ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიური ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ბრეჟნევის მეთაურობით.

სრული უფლება გვაქვს ვთქვათ: მყარი, სამართლიანი მშვიდობა დედამიწაზე და ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სახელი ერთმანეთისაგან განუყოფელია! დრმად სიმბოლურია, რომ ორგზის გმირს გმირს ბრინჯაოს ბიუსტი აუგია მის სამშობლოში, ეს თითქოს ხაზს უსვამს, რომ გმირი აღზარდა მშობლიურმა მიწამ, ხალხმა, აღნიშნავს იმ ნაყოფიერ კავშირს, რაც საფუძველად დაედო ცნობილ ლენინურ ანთოლოგიას, რომელსაც ახალ ეაღებს მატებდა დედამიწა.

ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ხალხთან ყოველთვის ჰქონდა და კვლავაც აქვს ღრმა და ღვიძილი კავშირი. ჩვენი ქვეყნის ისტორიის ყველა საკვანძო მომენტში იგი ყოველთვის იყო მოწინავე ხაზზე, ყველაზე დამკვრელურ უბანზე.

ბრეჟნევ ხელმძღვანელობს ჩვენი ქვეყანა ააშენებდა და სწავლობდა, — დამკვრელურად მუშაობდა და ჩინებულად სწავლობდა ახალგაზრდა კომუნისტი ბრეჟნევი.

სამშობლო გვიხმობდა მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში და, — მოხალისედ წავიდა ფრონტზე კომისარი ბრეჟნევი, ბოლომდე შეასრულა თავისი ჯარისკაცული და პარტიული მოვალეობა.

ხალხი ომის ნანგრევებზე აღორძინებდა სახალხო მეურნეობას, ითვისებდა ყამირ და ნასვენ მიწებს და, — ლეონიდ ილიას-ძეს მიანდეს უდიდესი მნიშვნელობისა და პასუხსაგები სამუშაო.

სადაც უნდა გაეგზავნა პარტიას ამხანაგი ბრეჟნევი, რაგინდ რთული და მასშტაბური ამოცანები უნდა გადაეწყვიტა მას, ყოველთვის და ყველგან იგი გამოირჩეოდა მშრომელი ხალხის ინტერესების უსაზღვრო ერთგულებით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების, ლენინის დიადი საქმის ურყევი ერთგულებით.

მის სახელთან ბევრი რამ არის დაკავშირებული სახელოვან დნეპრისპირეთის ქიმიური ქარხნის მეორე ომის საფრთხის იქმნებოდა ამხანაგ ბრეჟნევის შრომითი და პარტიული ბიოგრაფია. აქ იგი სათავეში ედგა ორი უდიდესი ოლქის — დნეპროპეტროვსკისა და ზაპოროჟიეს ოლქების პარტიულ ორგანიზაციებს.

„მრავალი წლის მანძილზე ვიმუშავე უკრაინაში, — იგონებს ლეონიდ ილიას-ძე, — ომის დღეებში, ისევე როგორც სხვა რუსი ადამიანები, ვიბრძოდით მის მიწა-წყალზე, კარგად ვიცნობ უკრაინელი ხალხის საუკეთესო თვისებებს და იგი შემიყვარდა გულწრფელი, შვილური სიყვარულით“.

მხურვალედ უყვარს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს დნეპროძერჟინსკელები, მშობლიური ქალაქი — თავისი ბავშვობის, მეზნებარე კომკავშირული სიყრმისა და გაბედული ბოლშევიკური ახალგაზრდობის ქალაქი. თქვენი ქალაქის მცხოვრებლებმა კარგად იციან, რომ ძერჟინსკის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობდნენ თვით ლეონიდ ილიას-ძე, მისი პაპა, მამა, ძმა, და, ერთი სიტყვით, მეტალურგთა მთელი მუშათა დინასტია, რომელიც თითქმის ასი წლის მანძილზე თავდადებით შრომობდა ამ ქარხანაში.

ლიხაჩოვის სახელობის სავტომობილო ქარხნის მუშებთან შეხვედრის დროს ლეონიდ ილიას-ძეს გულთბილად მიიგონა ძერჟინსკის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მუშათა დიდ კოლექტივში თავისი შრომითი ცხოვრების დაწყება, თავისი ძველი ამხანაგი მუშები, რომლებმაც პირველი პროფესია მისცეს, აბიარეს ცხოვრების რთულ მეცნიერებას, უჩვენეს ადამიანის შრომის ძალა და სულიერი სილამაზე. „ასეთი უნივერსიტეტები, — ხაზგასმით ნღნიშნა ლეონიდ ილიას-ძემ, — დაუვიწყარია“.

ორდენოსან დნეპროძერჟინსკს ხშირად „ფოლადის ქალაქს“ უწოდებენ, იგი ამყოფს „რკინის ფელეკსს“ სახელით. ეს, იმდენად სულით ძლიერი ადამიანები, რომლებსაც მუშათა გარემო უდრეკ ნებისყოფას უნერგავს, აძლევს ნამდვილ წრთობას მთელი სიცოცხლისათვის.

დნეპროძერჟინსკის მუშათა კლასი ყოველთვის ძლიერი იყო თავისი დიდი შეგნებულობით, ორგანიზებულობითა და შეკავშირებით. მისი ეს საუკეთესო თვისებები გამოვლინდა ცხარე რევოლუციურ ბრძოლებში, განთავისუფლებული შრომის აღმაფრენაში, ომის წლების არნახულ გმირობაში.

ჩვენი ხალხის მდიდარ რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებს, თქვა ვ. ვ. შჩერბიცკიმ, ღირსეულად ამრავლებს თქვენი დღევანდელი წარმატებები, მრავალი ახალი პატრიოტული თაობნობა.

სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში დღეს ჰრიან შრომის სახელოვანი გვარიდა: ძერჟინსკის სახელობის ქარხნის მეტალურგები — უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი სერგი თევდორეს-ძე გლადკი და გრიგოლ ვასილის-ძე მედიანიკი, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი, საწარმოო გაერთიანებან „აზოტის“ მეპასარატე ეკატერინე ნიკოლაზის ასული ბოვტი, სოციალისტური შრომის გმირი, მშენებელი ივანე ნიკიტას-ძე ჩაბანი, უკრაინის კომპარტიის XXV ყრილობის დელეგატები — დნეპრისპირეთის ქიმიური ქარხნის მეპასარატეთა ბრიგადირი ივანეს პეტრეს-ძე ბიჩიუკოვი და ორჯონიკიძის სახელობის კოქს-ქიმიური ქარხნის მეპასარატე ეგორ ივანეს-ძე სლუსპკი; ჩუბარის სახელობის გაერთიანების მკერავი ნადეჟდა პავლეს ასული პეტროვსკაია, გაზეთ „პრავდის“ სახელობის ვაგონსაშენებელი ქარხნის მეყალბეთა ბრიგადირი ალექსი ივანეს-ძე პიშნიაკი და ბევრი სხვა. მათი შრომა, ყველა დნეპროძერჟინსკელის შრომა, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური ურთიერთდახმარება კიდევ უფრო ალამაზებს ჯაღარა სლავუჩიტის ნაპირებზე ლაღად გაშლილ მშვენიერ ქალაქს, რომელიც საბჭოთა უკრაინის დღევანდელ აყვავებას განასახიერებს.

დღეს მთელი ჩვენი ცხოვრება გამსჭვალულია პარტიის XXV ყრილობის კეთილნაყოფიერი იდეებით. ისინი აღსავსეა უდიდესი შემოქმედებითი ძალით, რომელიც ამოქმედებს ხალხის მძლავრ ენერგიას.

ყრილობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, აღნიშნა ვ. ვ. შჩერბიცკიმ, რომ ჩვენი პარტიის პოლიტიკური კურსი ემყარება მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების მტკიცე საძირკველს, ყოველმხრივ ითვალისწინებს ჩვენს უმაღლეს მიზნებსაც და ჩვენს რეალურ შესაძლებლობებსაც. ეს არის ქვეყნის ეკონომიური, სოციალური და სულიერი პოტენციალის განმტკიცების, მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების კურსი. ეს არის მსოფლიო სოციალიზმის, მშვიდობისა და უშიშროების, ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის პოზიციათა ყოველნაირად განმტკიცების კურსი. ეს არის ჩვენი პარტიის განუხრელი ლენინური გენერალური კურსი კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის, მარქს-ენგელს-ლენინის უკვდავი იდეების გამარჯვებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, რომლებსაც ღრმად აქვთ შეგნებული ეს, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ერთსულოვნად და ორგანიზებულად ასრულებენ სვგაზოხულო მინდვრის სამუშაოებს სოფლის მშრომელები. ყოველივე ეს მტკიცე რწმენას გვინერგავს, რომ პარტიის XXV ყრილობის წინასწარდასახულობები წარმატებით განხორციელდება.

ეკვი არ არის, რომ თქვენი ქალაქისა და დნეპროპეტროვსკის ოლქის მშრომელები აგრეთვე ყოველ ღონეს იხმარენ, რათა პირნათლად შეასრულონ თავიანთი გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები.

ეს ღირსეული საჩუქარი იქნება სამშობლოსათვის, თანამემამულეთა კარგი საჩუქარი იქნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისათვის.

დასასრულ მიტინგის მონაწილეებმ, საბჭოთა უკრაინის კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით ვ. ვ. შჩერბიცკიმ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს უსურვა ჯანმრთელობა, დაუშრეტელი ენერგია, ახალი მიღწევები კეთილშობილურ, უადრესად ჰუმანისტურ საქმიანობაში, რომელსაც იგი კომუნიზმის, მშვიდობისა და პროგრესის საკეთილდღეოდ ეწევა.

ტრაბუნაზეა პარტიის ვეტერანი ამხ. ხ. ხ. სმირნოვი. დღევანდელი ზეიმი, თქვა მან, ერთხელ კიდევ მოწმობს მთელი ხალხის მზრუნველ მადლიერებას ლეონიდ ილიას-ძისადმი, ჩვენი დროის გამოჩენილ მოღვაწესადმი ქვეყნად მშვიდობის საკეთილდღეოდ, საყვარელი სოციალისტური სამშობლოს აყვავების საკეთილდღეოდ, მისი დაუცხრომელი, ტიტანური შრომისათვის, ომის წლებში მხედრული გმირობისათვის.

მე, — ისევე როგორც ძერჟინსკის სახელობის ქარხნის სხვა ვეტერანებს, წილად მხვდა ბედნიერება პირადად გიცნობდე ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს, მემუშავა მასთან ერთად, უშუალოდ მეგრძნო, რა საუკეთესო, გულისხმიერი ადამიანი, რა უნარიანი, მომთხოვნი და მზრუნველი ხელმძღვანელია იგი.

ხ. ხ. სმირნოვმა თქვა, თუ როგორ დაიწყო ამ ქალაქში თავისი ცხოვრებისა და შრომითი გზა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, რომლის ბიოგრაფია დამახასიათებელია ჩვენი საბჭოთა ეპოქის ახალი ტიპის მოღვაწისათვის.

პარტიის ვეტერანმა გაიხსენა, რომ 1931 წელს აქ, დნეპროძერჟინსკში, შეივლა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი კომუნისტურ პარტიაში.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე რომ იყო, ლეონიდ ილიას-ძე დიდ ძალღონეს ახმარდა ჩვენი პროლეტარული ქალაქის განვითარებას, მეტალურგთა, ქიმიკოსთა, მშენებელთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, აღნიშნა ხ. ხ. სმირნოვმა. მრავალი კეთილი საქმის ორგანიზაციისათვის დღემდე მისი მადლიერი არიან დნეპროძერჟინსკელები.

ჩვენ, თქვა დასასრულ ხ. ხ. სმირნოვმა, განვიცდით უდიდეს სიხარულს ჩვენი პარტიისათვის, რომლის ხელმძღვანელობით საბჭოთა ადამიანებმა მოიპოვეს ისტორიაში უდიდესი მიღწევები, ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიუროსათვის, რომელსაც ამხანაგი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი მეთაურობს.

გამოდის ძერჟინსკის სახელობის ქარხნის მექანიკური, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ს. ფ. გლადკი: ძერჟინსკის სახელობის ქარხნის მრავალათასიანმა მუშათა ოჯახმა აღზარდა, გამოაწრთო და თავისი რიგებიდან დააწინაურა საბჭოთა ინდუსტრიის ბევრი მეთაური, მეცნიერი, პარტიული მუშაკი, სახელმწიფო მოღვაწე, თქვა მან. მათ შორის უპირველესად ვასახელებთ ჩვენი ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს.

ჩვენ, საბჭოთა მუშებმა, ვიცით რა უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია მილიონობით ადამიანის ბედისათვის, ჩვენი სამშობლოს ბედისათვის სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, რომელსაც ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი მეთაურობს. ამიტომ ასე მხურვალედ, ასე ერთსულოვნად ვიწონებთ და ეხარ ვუჭერთ მაჯს ლეონიდ ილიას-ძეს, ამ ადამიანობას.

კარგად დამამახსოვრდა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის გულშიჩამწვდომი სიტყვები, რომლებიც მან ყრილობის ტრიბუნიდან წარმოთქვა მშრომელ ადამიანებზე: „ყოველ დილით ათობით მილიონი ადამიანი იწყებს თავის მორიგ, სრულიად ჩვეულებრივ სამუშაო დღეს... ისინი, ალბათ, არც კი ფიქრობენ, რა დიად საქმეს აკეთებენ. მაგრამ მათ, სწორედ მათ, პარტიის წინასწარასახულობებს ხორციელებენ, პროგრესის ახალ-ახალ მწვერვალებისაკენ მიპყავთ საბჭოეთი“. რაოდენი სითბო და ღრმა პატივისცემა იგრძნობა მშრომელისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამ სიტყვებში!

პარტიის ისტორიული ყრილობის გადწყვეტილებებმა მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ჩვენს გულში. ჩვენ ვცხოვრობთ მის მიერ დასახული გეგმების შესრულებისათვის ზრუნვით, ვაქცევთ მათ კონკრეტულ საქმეებად და ამასთან ვცდილობთ გამოვიჩინოთ შემოქმედებითი მიდგომა, პირადი ინიციატივა. როგორც კომუნისტი და მუშა, განაცხადა ს. ფ. გლადკიმ, დნეპროძერჟინსკის მუშათა კლასის სახელით ალვუთქვამ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, პირადად ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს, რომ თვითეული ჩვენგანი ყველაფერს იზამს, რათა შეასრულოს სკკპ XXV ყრილობაზე დასახული ვეგმები.

დნეპროპეტროვსკის ოლქის მოწამოქმედები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, თქვა საბჭოთა მეურნეობა „დნიპროს“ მეპოსტნეთა განყოფილების მმართველმა, სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. მ. ი. პოლოვინკამ, ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს იცნობენ როგორც ჩვენი სახელოვანი პარტიის, კომუნისტთა პარტიის დიდ მამვრაღს, იცნობენ როგორც მამაც ჯარისკაცს.

დღევანდელი ზეიმი სახელმოხვეჭილი თანამემამულისადმი უბრალო პატივისცემა კი არ არის, ამით ამასთანავე მშვენრმეტყველურად ვლინდება საბჭოთა ადამიანების მადლიერება მშობლიური კომუნისტური პარტიისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისადმი იმისათვის, რომ მშვიდობიანად ვცხოვრობთ და შემოქმედებითად ვშრომობთ მოწმენდილი ცის ქვეშ, რომ ისინი წინ მიგვიძღვიან ხალხის ბედნიერების ფართო გზით კომუნიზმის ნათელი მწვერვალებისაკენ.

სოფლის მშრომელები, განაცხადა მ. ი. პოლოვინკამ, უსაზღვრო მადლობას უძღვნიან ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს მათთვის ყოველდღიური, ქეშმარიტად ლენინური ზრუნვის გამო, სოფლის მეურნეობის ბრძოლი ხელმძღვანელობის გამო, ჩვენ ლეონიდ ილიას-ძისაგან ვსწავლობთ ლენინურად მუშაობას, ბრძოლასა და გამარჯვებას.

ინდუსტრიული ინსტიტუტის რექტორმა ამხ. ვ. ი. ლოგინოვმა აღნიშნა, რომ ეს უმაღლესი სასწავლებელი ადრეული — სამრეწველო წარმოების იდეურად მომწიფებული, პოლიტიკურად გამოწრთობილი და ტექნიკურად განათლებული მეთაურების ნამდვილი სამკვდელი გახდა. ჩვენ განსაკუთრებით ვამაყობთ, ხაზი გაუსვა მან, რომ ჩვენი ინსტიტუტის კედლებში აღიზარდა და ინჟინრის დიპლომი მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა.

ინსტიტუტის კოლექტივის დაგალებით ვ. ი. ლოგინოვმა ლეონიდ ილიას-ძეს უსურვა ჯანმრთელობა, დიდგრძელობა და ახალი მიღწევები მის დიად და კეთილშობილურ შრომაში საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებელთა სახელით რექტორმა დამსწრეთ აღუთქვა, რომ ისინი კვლავაც აღზრდიან სტუდენტ ახალგაზრდობას უფროსი თაობების სახელოვან ტრადიციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებზე, კომუნიზმის იდეალებისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

სიტყვას ამბობს საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ მეპაპარატე, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი ამხ. ე. ნ. ბოვტი. მთელ პლენტაზე, თქვა მან, ლეონიდ ილიას-ძეს უდიდესი ავტორიტეტი აქვს. ეს ავტორიტეტი მან დამამსახურა თავდადებული შრომით, კომუნისტური მშენებლობის, მშვიდობის განმტკიცების საქმეში დიდი პირადი წვლილით, მრრომელი ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისა და ყოველმხრივი განვითარებისათვის თავისი დაუცხრომელი ზრუნვით.

მეპაპარატემ ილპაპარაჯ გაერთიანების წარმატებებზე და აღნიშნა, რომ მათს კოლექტივში ბევრი მშრომელი ქალია, რომლებიც სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში დგანან, საზოგადოებრივ მუშაობას ეწევიან, დიდ ძალღონეს ახმარენ ახალი ცხოვრების აღზრდას. სახელმწიფოს დიდი ზრუნვითი არიან ჩვენში გარემოსილი დედები და ბავშვები, ხაზი გაუსვა ამ ზრუნვას ჩვენ თავდადებული შრომით ეუმასუხებთ. ვცდილობთ ჩვენი შვილები ნამდვილ საბჭოთა ადამიანებად, სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებად აღვზარდოთ.

მე ორი შვილის დედა ვარ, თქვა შემდეგ ე. ნ. ბოვტმა. უფროსი ვაჟი საბჭოთა არმიის რიგებში მსახურობს, იცავს მშვიდობას, რომელიც დიდ სამამულო ომში მოვიპოვეთ და რომლის მონაწილე ლეონიდ ილიას-ძე იყო. ჩვენთვის არა არის რა უფრო ძვირფასი, ვიდრე მშვიდობა, საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეო მშვიდობიანი შრომა. უდიდესი მადლობა მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, პირადად ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს ყველაფერისათვის, რასაც ისინი აკეთებენ მშვიდობისა და ხალხთა ბედნიერების საკეთილდღეოდ.

ინჟინერ-მაიორმა, მე-18 არმიის ყოფილმა მეომარმა ამხ. ა. დ. კუცენკომ თქვა: მე წილად მხვდა დიდი ბედნიერება — დიდი ხანია პირადად ვიცნობ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს, იგი გავიცანი 1933 წელს — ჩვენ ერთად ვსწავლობდით მეტალურგიულ ინსტიტუტში. უკვე მაშინ გამოვლინდა ლეონიდ ილიას-ძის დიდებული ნიჭი, მისი, როგორც ორგანიზატორის, პარტიული ხელმძღვანელის, გულისხმიერი ამხანაგის ტალანტი. მას ეხერხებოდა ადამიანების შერჩევირება, მათი დარაზმვა დიდი და რთული საქმიანის გადასაწყვეტად. ლეონიდ ილიას-ძესთან ერთად გავიარე ნამდვილი სამხედრო სამსახური ბაიკალისკალმა სამხედრო ოლქში.

მახსოვს დიდი სამამულო ომის პირველი ძნელი თვეები, გაოფთრებული ბრძოლები ტუფესესთან. ჩვენმა ჯარებმა მთელი ძალღონის დაძაბვით გადაეუღობეს მტერს ამიერკავკასიის გზა. საბჭოთა მებრძოლები და მეთაურები უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოდნენ, მასობრივ გმირობას იჩენდნენ. ყველა ნაწილსა და ქვანაყოფში წამდაუწუმ იღებდნენ იმათ განცხადებებს, ვისაც ლენინური პარტიის რიგებში შესვლა სურდა. და მე ვამაყობ, რომ ამ მრისხანე ომს პარტიული ბილეთი გადმომცა ამხანაგმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა, რომელიც მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი იყო.

იმ ცეცხლოდიდებული პოზიციებიდან ჯერ შორი გზა იყო ჩვენს დიად გამარჯვებამდე. მრავალი ათასი ბრძოლა გამოვიარეთ და დიდძალი მსხვერპლი გავიღეთ მის მისაღწევად. მაგრამ ჩვენ ღრმად გვწამდა ეს ნათელი დღე, რადგან ამ რწმენას გვინერგავდნენ ისეთი კომუნისტები, პოლიტმუშაკები, როგორიც იყო ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი. მებრძოლები და მეთაურები პატივს სცემდნენ მას სიდინჯისა და სიმშვიდისათვის, იმისათვის, რომ უნარი შესწევდა გარკვეულიყო ურთულეს საბრძოლო ვითარებაში, ამოვცნო ადამიანთა განწყობილება, ეამოლებინა მათი საბრძოლო სულისკვეთება. აღფრთოვანებანი გმირობისათვის. იგი კომისართა სახელოვანი პლეადის საუკეთესო წარმომადგენელი იყო.

ჩემს მეხსიერებაში სამუდამოდ ადიბეჭდა ის დღე, როცა ლეონიდ ილიას-ძემ წითელი ვარსკვლავის საბრძოლო ორდენი გადმომცა. ასეთ რამეს ვერ დავივიწყებ!

ჩვენ, ომის ვეტერანები, სულითა და გულით ვუღოცავთ ლეონიდ ილიას-ძეს საბჭოთა კავშირის მარშლის მაღალი მხედრული წოდების მინიჭებას.

ლეონიდ ილიას-ძესთან ურთიერთობის პირადი შთაბეჭდილებები, ხაზი გაუსვა ა. დ. კუცენკომ, უფლებას მაძლევს სრულიად დამაჯერებლად ვთქვა, რომ მის პიროვნებაში შერწყმულია მუშათა კლასის წარმომადგენლის საუკეთესო თვისებები, სიბრძნე პარტიული ხელმძღვანელობა, რომელსაც ახასიათებს მიზნიდვლეობა, სისადავე და თავმდაბლობა, გულისხმიერება და გულკეთილობა.

ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად ჩვენ, ყოფილი ფრონტელები, გულითად მადლობას ეუძღვნით კომენისტურ პარტიას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნების საქმეში. უდიდესი წვლილისათვის.

ჩვენ, ახალგაზრდები, არ განგიცდია გაუჭირვებია და ომნელეები, რაც წილად ხვდათ უფროს თაობებს, თქვა მიტინგზე დნეპროძერჟინსკის მეტალურგიული ტექნიკუმის მოსწავლემ, კომკავშირელმა გალინა კალენტიევამ. მაგრამ საბჭოთა ახალგაზრდობამ კარგად იცის ისტორია, თვალსაჩინოთ უფრთხილდება და ამრავლებს ხალხის დიად მონაპოვრებს.

მე იმ ტექნიკუმში ვსწავლობ, რომლის დირექტორი ოცდაათიან წლებში ლეონიდ ილიას-ძე იყო. ჩვენი მუზეიუმის სტენდები, ვიტრინათა მოგონებები მოწმობს, რა ბევრი რამ გააკეთა მან ჩვენი სასწავლებლის განვითარებისათვის, მეტალურგთა კადრების მომზადებისათვის, რომლებიც ასე სჭირდებოდა მაშინ ქვეყანას. მუზეიუმის ფოტოსურათებიც მოგვითხრობს, თუ როგორ შეიცვალა ჩვენი სასწავლებელი, ჩვენი ქალაქი, ქვეყანა ისტორიის თვალსაზრისით ამ ხანმოკლე პერიოდში.

ახლა თვითეულ ახალგაზრდას სკოლის დამთავრების შემდეგ შეუძლია აირჩიოს საყვარელი სამუშაო, განაგრძოს განათლება. და ჩვენ უდიდეს მადლობას ვუხდით ამ მამობრივი ზრუნვისათვის შმობლიურ პარტიასა და ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, პირადად ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს, რომელმაც სკკპ XXV ყრილობაზე საბჭოთა ახალგაზრდობას ლენინური კომკავშირის პარტიის საიმედო თაობაშეგზავნა, მებრძოლი რეზერვი უწოდა. ჩვენ ბრეჟნევი ფრთიდზე სწავლობთ და დამკვრელური შრომით გავამართლოთ ეს დიდი შეფასება.

სიტყვა ეძლევა ამხ. ა. ფ. ვატჩენკოს. მან თქვა: საბჭოთა კავშირის გმირის, სოციალისტური შრომის გმირის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ბრინჯაოს ბიუსტის გახსნა დნეპროძერჟინსკში, სადაც დაიბადა, გაიზარდა და დაკვალიკიდა, პირველი მუშური წრთობა გაიარა და აქტიური კომუნისტი გახდა იგი, — დიდი, ისტორიული მოვლენაა მთელი დნეპრისპირეთისათვის.

ეს ამბავი გულწრფელად ახარებთ და. დიდად ალაფრთოვანებთ ოლქის კომუნისტებს, ყველა მშრომელს, რომელთაგან ბევრი კარგად იცნობს ლეონიდ ილიას-ძეს ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა იგი მუშებისა და კოლმეურნეების მხარდამხარ შრომობდა პირველი ხუთწლედების დაკავებისა შესრულებისათვის, როცა დიდი სამამულო ომის პირველ დღეებში სხვა პარტიულ მუშაკებთან ერთად წავიდა ფრონტზე პარტიის დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის მდივნის პოსტიდან და საბოლოო გამარჯვებამდე ებრძოდა საძულველ მტერს.

მეხსიერებაში ცოცხლობს ის ძნელი ომისშემდგომი წლებიც, როცა ლეონიდ ილიას-ძე სათავეში ედგა დნეპროპეტროვსკის საოლქო პარტიულ ორგანიზაციას და დიდი ძალღონე და შრომა შეალია იმას, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ძმური დამხმარებით მოკლე ვადაში ნანგრევებიდან აღგვადგინა ქარხნები, ფაბრიკები, შახტები, ფამისტების მიერ ნაცარტუტად ქცეული ქალაქები და სოფლები.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის, როგორც პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის, ორგანიზატორული ტალანტი განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მაღალ პოსტზე, თქვა შემდეგ ა. ფ. ვატჩენკომ. ცხოვრების დიდი გამოცდილების მქონე, იგი დაუოკებელ შრომობს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს განსამტკიცებლად. მისი უშუალო მონაწილეობით შემუშავდა და ხორციელდება პარტიული და სახელმწიფო მშენებლობის ლენინური ნორმების განვითარების უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები, სამრეწველო წარმოების ინტენსიფიკაციისა და სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის, ქვეყნის მთელი ეკონომიის ზრდის სტრატეგია საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ლეონიდ ილიას-ძე, რომელიც სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეა, დღენიადაგ ზრუნავს იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები კვლავაც იყოს საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის საიმედო გუშაგი, საყოველთაო მშვიდობის ბურჯი. ამ მაღალ პოსტზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დამსახურების საყოველთაო-სახალხო აღიარების მკაფიო დადასტურებაა მისთვის საბჭოთა კავშირის მარშლის მხედრული წოდების მინიჭება.

ყველა კონტინენტის კომუნისტებისათვის, ასმილიონობით ადამიანისათვის, თქვა შემდეგ ბრაზილიის სოციალისტ კომიტეტის პირველი მდივანმა, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სახელი ურყევი ლენინელის, თანამემამდვრეული ინტერნაციონალისტის, მშვიდობისა და პროგრესის საქმის აქტიური ქომაგის განსახიერებად იქცა. მისი დაუცხრომელი მოღვაწეობა ყველა ჩვენგანისათვის სამშობლოს, ლენინის პარტიის დიადი საქმის ერთგული სამსახურის შთამაგონებელი მაგალითია.

ა. ფ. ვატჩენკომ გულითადი მადლობა გადაუხადა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ბრინჯაოს ბიუსტის შემქმნელებს.

შეეხო რა ამოცანებს, რომლებსაც ახლა წყვეტენ ოლქის კომუნისტები, ყველა მშრომელი, — ა. ფ. ვატჩენკომ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, პირადად ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს აღუთქვა, რომ დნეპროპეტროვსკის ოლქის ორასოცდათასიანი საოლქო პარტორგანიზაცია, ყველა მშრომელი კვლავაც იქნებიან პარტიის საიმედო დასაყრდენი, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა პირნათლად შეასრულონ სკკპ XXV ყრილობის ისტორიული წინასწარდასახულობები.

მიტინგის მონაწილეებმა, რომელიც პარტიისა და ხალხის ერთიანობის, კომუნისტური იდეალების ერთგულების ბრწყინვალე დემონსტრაციად გადაიქცა, დიდი აღფაფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევისადმი. „პარტიის სახელთან, — ნათქვამია წერილში, — დაკავშირებულია ჩვენი უბნის შვენერვანები მიღწევები ეკონომიკაში, დაღეგიანი ძვრები მსოფლიო ასპარეზზე. ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, გულითა და სულით ვიწონებთ და მხურვალედ ეუჭერთ მხარს მშობლიური პარტიის ლენინურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, აღვნიშნავთ, ლეონიდ ილიას-ძეს, თქვენს უდიდეს პირად წვლილს მის შემუშავებასა და განხორციელებაში. მეზნებარე კომენისტმა, გამოჩენილმა პოლიტიკოსმა მოღვაწემ — ლენინური ტიპის ხელმძღვანელმა სახელოვანი პლეადის წარმომადგენელმა, თქვენ კომუნისტების, მთელი საბჭოთა ხალხის, პლანეტის ყველა პატიოსანი ადამიანის უდიდესი მადლიერება და პატივისცემა დაიმსახურეთ“.

მიტინგის მონაწილეებმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს, პირადად ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს აღუთქვეს, რომ დნეპროძერჟინსკელი მშრომელები ღირსეულ წვლილს შეიტანენ შეათე ხუთწლიანი გეგმის დაკალებათ

გიორგი სამსონის-ძე ქოწენიძე



საბჭოთა მეცნიერებამ, საზოგადოებრიობამ მძიმე დანაკლისი განიცადეს. მოულოდნელად გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა გეოლოგი, მეცნიერების ორგანიზატორი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის გეოლოგთა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე, ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის ვულკანოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, 1940 წლიდან სკკპ წევრი გიორგი სამსონის-ძე ქოწენიძე.

გ. ს. ქოწენიძე დაიბადა 1910 წლის ქალაქ ქუთაისში. 1929 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მიღო გეოლოგისა და ქიმიკოსის სპეციალობები. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში იგი ლაბორანტად მუშაობდა უნივერსიტეტის მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრაზე. ამავე დროს გამოყენებითი მინერალოგიის ინსტიტუტშიც მუშაობდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ჩაება მეცნიერულ და პრაქტიკულ საქმიანობაში. 1931-1933 წლებში სწავლობდა ასპირანტურაში, ამავე დროს მუშაობდა საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს გეოლოგიური პარტიების უფროსად და ტექნიკურ ხელმძღვანელად. 1938 წელს გ. ს. ქოწენიძემ დაიცვა საკანდიდატო, 1947 წელს კი — სადოქტორო დისერტაციები. 1948 წელს მას პროფესორის წოდება მიენიჭა. 1950 წელს გ. ს. ქოწენიძე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს, ხოლო 1955 წელს — აკადემიკოსად. 1968 წელს იგი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს.

გ. ს. ქოწენიძის კალამს 150-ზე მეტი ნაშრომი ეკუთვნის, მათ შორის 10 ფუნდამენტური მონოგრაფია. იგი საბჭოთა კავშირის გამოჩენილ მეცნიერ პეტროლოგთა წარმომადგენელი იყო. მისმა ფუნდამენტურმა გამოკვლევებმა, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანა საბჭოთა მეცნიერებაში, საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

გ. ს. ქოწენიძის მეცნიერულ მოღვაწეობას გაუკვალავი გზებს დაუცხრომელი ძიება ახასიათებს. მეტი წილი მისი ნაშრომები ეძღვნება პალეოვულკანოლოგიისა და ლიტოლოგიის — გეოლოგიური მეცნიერების იმ ორი დარგის პრობლემებს, რომელთა განვითარება საქართველოში მის სახელთან არის დაკავშირებული. ვულკანოგენური ფორმაციების კვლევა გ. ს. ქოწენიძემ 45 წელზე მეტი ხნის წინათ დაიწყო. მან შეისწავლა დასავლეთ საქართველოს ბარიტიანი შუაიურული ვულკანოგენური წყება და დაადგინა კანონზომიერებები, რომლებიც საფუძვლად დაედო მის შემდგომ გამოკვლევებს, რომელთა შედეგია გ. ს. ქოწენიძის განზოგადებული მონოგრაფია „საქართველოს მოიცენომდეი ეფუზური ვულკანიზმი". ამ მონოგრაფიისათვის 1950 წელს მას სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა. ეს ნაშრომი, რომელშიც გ. ს. ქოწენიძემ კავკასიისა და მისი მომიჯნავე რეგიონების მაგალითზე, პირველად გამოავლინა ვულკანური ქანების ქიმიზმის ევოლუცია, ტექტოგენეზთან დაკავშირებით, გეოლოგთა და მკვლევართა რამდენიმე თაობის მეცნიერული და პრაქტიკული ზრდის საფუძველი გახდა.

უადრესად ნაყოფიერი იყო გ. ს. ქოწენიძის მოღვაწეობა დასავლეთ ფორმაციების კვლევაში. თავის მოწაფეებთან ერთად მან შეისწავლა ქვემო — და ზემოიურული დანალექი წარმონაქმნები, და მთ შორის — ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოების შემცველი ქანები. ამ გამოკვლევების შედეგებს დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

გ. ს. ქოწენიძემ საფუძველი ჩაუყარა ახალ მეცნიერულ მიმართულებას—ვულკანიზმის როლს დანალექი ქანებისა და მადნების წარმოქმნაში. ამ პრობლემისადმი მიძღვნილ მონოგრაფიას, რომელიც ორჯერ გამოიცა, და [illegible] დარგის მის სხვა ნაშრომებს 1972 წელს ლენინური პრემია მიენიჭა.

დიდი პრაქტიკული და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს გ. ს. ქოწენიძის მიერ ქვეყნის სასარგებლო წიაღისეულის კვლევის დარგში შექმნილ ნაშრომებს. იგი რამდენიმე საბალის პირველადმომჩენი და ავტორია რეკომენდაციებისა შემდგომი საძიებო-საზვერი სამუშაოების მიმართულების შესახებ.

გ. ს. ქოწენიძე რამდენიმე ათეული წლის მანძილზე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1940-1944 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტის დეკანი, ხოლო 1958-1959 წლებში — უნივერსიტეტის რექტორი. სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა ამ უმაღლესი სასწავლებლის პროფესორად. მისი უშუალო ხელმძღვანელობით აღიზარდა ასობით გეოლოგი პრაქტიკოსი და მეცნიერი მუშაკი — მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი.

დიდ მუშაობას ეწეოდა გ. ს. ქოწენიძე, როგორც მეცნიერების ორგანიზატორი. 1951-1958 წლებში იგი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი იყო, ხოლო შემდეგ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიების ბევრი საპრეზიდიუმო საბჭოს და კომისიის თავმჯდომარე. იგი არჩეული იყო ლონდონის გეოლოგიური საზოგადოებისა და ამერიკის შეერთებული შტატების გეოგრაფიული საზოგადოების ვულკანოლოგთა და სენდიმენტოლოგთა საერთაშორისო ასოციაციების წევრად. ამ ორგანიზაციებში იგი ღირსეულად წარმოადგენდა საბჭოთა მეცნიერებას.

თავის მუშაობას მეცნიერებასა და მეცნიერების ორგანიზაციის დარგში გ. ს. ქოწენიძე წარმატებით უხამებდა დიდ საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეობას. მას არჩევდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, მეხუთე მოწვევით მოწვეული დაწყებული, და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, მეოთხე მოწვევით დაწყებული. 1959 წლიდან 1975 წლამდე გ. ს. ქოწენიძე იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ხოლო 1960 წლიდან — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე. იგი არჩეული იყო საბჭოთა კავშირის კოშენსესტური პარტიის XXII, XXIII და XXIV ყრილობების დელეგატად, სკკპ ცენტრალური სარეგიზიო კომისიის წევრად. იგი რამდენჯერმე აურჩევიათ საქართველოს კომპარტიის ყრილობების დელეგატად. მრავალი წლის მანძილზე იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ ღირსეულად დააფასეს გ. ს. ქოწენიძის დამსახურება სამშობლოს და მეცნიერების წინაშე — დაჯილდოებული იყო სამი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

ჩვენგან წავიდა დიდი მეცნიერი და მოქალაქე, გულისხმიერი ამხანაგი, სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, კომუნისტური პარტიისა და მშრომელი ხალხის ერთგული შვილი, რომელმაც დრმა კვალი დატოვა მეცნიერებაში. გიორგი სამსონის-ძე ქოწენიძის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

ბ. გ. ბილაშვილი, მ. პ. გიორგაძე, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, გ. ვ. კოლგინი, პ. ვ. მელნიკოვი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შევარდნაძე, ზ. ა. ჩხეიძე, თ. ი. მოსაშვილი, ჟ. კ. შარტავა, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ა. პ. ალექსანდროვი, ა. ვ. სიდორენკო, ბ. ნ. სოკოლოვი, ნ. ი. მუსხელიშვილი, ი. ნ. ვეკუა, ზ. ბ. გელდიაშვილი, ვ. ი. ვადაჭკორია, ა. მ. ლაბახუა, ე. მ. ჯაფარიძე, ე. ა. სეხნიაშვილი, ზ. ა. კვაჭაძე, ზ. გ. ახვლედიანი, ი. ბ. აბაშიძე, ბ. ვ. შინკუბა, დ. დ. დიასამიძე, ბ. ი. მარდანოვი, ბ. თ. ლოგვინიძე, ე. კ. ხარაძე, ს. ვ. დურმიშიძე, ნ. ა. ლანდია, ე. ლ. ანდრონიკაშვილი, ლ. კ. ბაბუნია, პ. დ. ბამყრელიძე, თ. თ. დავითაია, ლ. შ. დავითაშვილი, მ. კ. დარასელია, რ. რ. დვალი, ა. ა. ძიძიგური, შ. ვ. ძიძიგური, ვ. დ. კუპრაძე, ვ. ვ. მახალდიანი, ვ. მ. ოკუჯავა, ა. ს. ფრანგიშვილი, მ. ნ. საბაშვილი, ბ. ვ. ციციშვილი, კ. ს. ზავრიევი, ნ. ნ. კეცხოველი, ა. ს. ჩიქოვანი, ა. ბ. შანიძე, ბ. კ. ბალავაძე, ი. ვ. კაჭარავა, ა. ლ. ცაგარელი, დ. ი. ჩხიკვიშვილი.

ნათელი დღესასწაული

გაიმართა რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ჰიტლერული ფაშიზმისაგან გერმანიის განთავისუფლების დღეს.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ნ. გურგენიძემ.

მოხსენება წაიკითხა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მეგობრობის საბჭოთა საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ლ. ხხიკვინაშვილმა. მომხსენებელმა დამსწრეთ მოუთხრო იმ დიად გზაზე, რომელიც განვლეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შრომელებმა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობით გერმანიის პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს არსებობის 31 წლის მანძილზე, მათ წვლილზე სოციალისტურ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ძლიერების განმტკიცებასა და შეკავშირებაში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შრომელებს გულთბილად მივესალმნენ და განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში, მშვიდობისათვის ბრძოლაში ახალი წარმატებები უსურვეს ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელმა რ. გარდიძემ, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მეგობრობის საბჭოთა საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ, პროფესორმა კ. ცქერიმშვილმა, უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ნ. ადამოვიჩმა.

საზეიმო კრების მონაწილეებმა მისალმება გაუგზავნეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოსა და გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებას ბერლინში.

7 მაისს რესპუბლიკის დედაქალაქში გაიმართა თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნულ დღესასწაულს — ფაშისტი დამპყრობლისაგან ქვეყნის განთავისუფლების 31-ე წლისთავს.

კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ს. რიგვავამ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ქლენტმა.

საბჭოთა ადამიანები, რომლებიც მომძე ჩეხოსლოვაკიელ ხალხთან ერთად აღნიშნავენ მის ნათელ დღესასწაულს, თქვეს კეროვის საზელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ზ. სარალიძემ, საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების რესპუბლიკური განყოფილების გამგეობის წევრმა ლ. ნიკურაძემ, უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ზ. ქვანიამ, გამსჭვალული არიან ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის შშრომელებისადმი მეგობრობისა და ამხანაგობის ღრმა გრძნობებით.

კრებამ მიიღო მისალოცი დეპეშები ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოსადმი, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის ცენტრალური კომიტეტისადმი და ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის სლოვაკიის კომიტეტისადმი ბრატისლავაში.

(საქინფორმი).

ᲛᲐᲠᲐᲓ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲘ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ

ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲘᲐᲡ ᲓᲦᲔ

ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ

ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ-ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ

ᲓᲦᲔᲡ მინდა განსაკუთრებით გულთბილი და მეგობრული ხიტყვები ვთქვა ჩემი თანამებრძოლის, საბჭოთა კავშირის გმირის, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტის ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე ჯანჯღავას შესახებ. და ეს იმიტომ, რომ მის საბრძოლო ჯილდოებს კიდევ ერთი, რიგით მესამე, ამჯერად მრომითი ჯილდო — ოქტომბრის რევოლუციის ორდენი მიემატა. ეს ფაქტი თვალნათლივ გვიჩვენებს იმას, რომ ომის ვეტერანის მემოქმედებითს შრომას ამ მშვიდობიან დღეებშიც ჩვენი ხალხი დიდად აფასებს.

სამოდამეხუთე არმიაში, რომელსაც ომის წლებში ვხელმძღვანელობდი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ძლიერი, ტანმაღალი, რკინის ნებისყოფიანი და ტემპერამენტიანი გენერლის სახელი თითქმის ლეგენდარული იყო.

იმ დიდ ომში ბრძოლები სხვადასხვანაირად წარიმართა, გვქონდა წარმატებაც და მარცხიც. მაგრამ ვ. ჯანჯღავას ყოველთვის შესწევდა იმის უნარი, რომ ფხიზლად შეეფასებინა ვითარება და ყველაზე რთულ პირობებშიც კი ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიეღო და მისი შესრულებისათვის მიეღწია.

...ომი მთავრდებოდა. ჩვენი ჯარები ოდერის გადასასლასაგად ემზადებოდნენ. ეს იყო უკანასკნელი დაბრკოლება ბერლინისაკენ მიმავალ გზაზე. მეტად ძნელ და თავისებურ პირობებში უნდა გვემოქმედნა. ოდერი ძალიან რთული მდინარეა. იგი ორ მძლავრ ნაკადად იყოფა — ოსტად და ვესტოდერად, რომელთა სიგანე 100 მეტრიდან 240 მეტრს აღწევს, ხოლო ამ ნაკადებს შორის სამი კილომეტრი სიდიდის უზარმაზარი ჭალაა, რომელიც არხებითა და ჯებირებით არის დასერილი.

იერიში 1945 წლის 20 აპრილს უნდა დაგვეწყო. მსროლელი დივიზიის წინამე, რომელსაც ვენერალი ვ. ჯანჯღავა მეთაურობდა, განსაკუთრებით რთული ამოცანა იდგა. დივიზია ჭალის ტყიან ხაფონში იყო ჩასაფრებული, ფრონტის მარჯვენა ფიცარზე. მის მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ვეტერიერის გადალახვის დაწყებამდე ჩვენ ჭალის გაწმენდა მთლიანად ვერ შევძელითო და მოწინააღმდეგე დივიზიის ფლანგებზე მოქმედებდა. მეც და დივიზიის მეთაურმაც კარგად ვიცოდით, რომ სიტუაცია მეტად რთული იყო. მახსოვს მე მას ვეუბნებოდი:

— თქვენს წინაშე რთული ამოცანა დგას. მეტად რთული. მაგრამ მჯერა, რომ მას პირნათლად შეასრულებთ.

ჯარები მზად იყვნენ მდინარე გადაეცალხათ. მაგრამ შუადამით მოხდა ის, რისიც ყველაზე უფრო გვეშინოდა და რისი აღკვეთაც ჩვენს ძალას აღემატებოდა. ბალტის ზღვაზე შტორმი ატყდა, გერმანელებმა შესართავში წყალგამშვები სისტემის აფეთქება მოასწრეს და ოდერში საშინელი მოქცევა დაიწყო. წყალი კატასტროფულად მატულობდა, ჭალას მოედო და ჯარისკაცები იძულებული იყვნენ სანგრევები დაეტოვებინათ. ცივ წყალში წელამდე მდგომი ჯარისკაცები მიწის ნაგლეჯს ამაოდ ეძებდნენ. წყალში ჩაძირა და დროებით მწყობრიდან გამოვიდა ნაღმსატყორცნები, ქვემეხები, დინებამ საყუდელიდან მოგლეჯა და მართვის საშუალება მოუსპო ფორსირებისათვის მომზადებულ საცურავ საშუალებებს. ჯარისკაცებმა მდინარეში შესტოპეს და ჩასაძირად განწირული ნავების გადარჩენას შეუდგნენ. შტატნაში ჩასაფრებული მოწინააღმდეგე გამუდმებულ ცეცხლს აყრიდა ჭალას, ანადგურებდა ჩვენს ნაწილებს, რომლებსაც თავშესაფარი არსაით ჰქონდათ.

ასეთ დროს შეიძლება ყველაზე ნებისყოფიანმა ადამიანმაც კი იმედი დაკარგოს. მაგრამ დივიზიის მეთაური ვ. ჯანჯღავას ნებისყოფა, რწმენა სტიქიაზე ძლიერი აღმოჩნდა. საზრიანობამ, ყველაზე რთულ ვითარებაში ორიენტირების სწრაფმა უნარმა ამჯერადაც უკარნახა ამ მამაც ადამიანს ერთადერთი გამოსავალი. ბრძანება გასცა მაღლა ხეებზე საფარი მოეწყოთ, იქ ტელეფონები, რადიოპარატურა დაედგათ. იგი ნაწილების მართვაში მონაწილე სხვა ოფიცრებთან ერთად ამ ყოველი ეხრიდან დაუცავ „კომშჯს" ავიდა, და, თუმცა მტრის არტილერიის გაშუდმებული ცეცხლი ყოველ წამს სიკვდილს უქადდა, ეს არაფრად ჩაგდო და დივიზიის ხელმძღვანელობა განაგრძო. მეთაურის შეუპოვრობა, სიმშვიდე, ვაჟკაცობა მებრძოლებსაც გადაეცა და დაეხმარა მათ ამ ძნელი გამოცდისათვის გაეძლოთ.

შტორმი გამთენიისას დაცხრა. ზღვა დამშვიდდა, აზვირთებული ოდერიც თავის კალაპოტში ჩადგა. თვალსა და ხელს შუა იფრიტებოდა ჭალაში წყალი, თითქოს გიგანტი ტუმბო ექაჩებაო. ღამის განმავლობაში ჭალა უზარმაზარ ჭაობად იქცა.



ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲖᲐ

მეათე ხუთწლედის პირველ გაზაფხულსა და გამარჯვების დღეს ახალი შრომითი გამარჯვებებით ეგებებიან საბჭოთა ადამიანები. ვარდობის ეს თვე განსაკუთრებით ძვირფასია იმათთვის, ვინც საკუთარი სიცოცხლის ფასად სჯიდდა გამარჯვებას, მომხვდურთაგან მკერდით იცავდა მამულს და გამარჯვებული დაუბრუნდა მშობლიურ მიწა-წყალს.

სამშობლო არ ივიწყებს იმათ, ვინც ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა, საბჭოთა ხალხი შარავანდედით მოსავს მათ სახელს.

დღეანდელ გამარჯვების დღეს, როგორც ყოველთვის, განსაკუთრებული ზეიმით ხვდება დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივი, რომლის წევრთა შორის მრავალ ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებულ ადამიანს შეხვდებით. მათ თავიანთი წვლილი მიუძღვით კოლექტივის მიერ მოპოვებულ საერთო წარმატებებში. დღეს ისინი, შეიძლება ითქვას, კვლავ საბრძოლო მწყობრში დგანან და თავიანთი შრომითი შემართებით ახალგაზრდებს შესანიშნავ მაგალითს უჩვენებენ.

საწარმოში ყველა კარგად იცნობს და პატივს სცემს ნინა არფიევას, ქალს, რომელმაც ბრძოლით გაანელო ომის მძიმე გზა და გამარჯვების სიხარული ავსტრიის დედაქალაქ ვენაში გაიზიარა სხვა საბჭოთა მეომრებთან ერთად. იგი დღეს კონტროლიორად მუშაობს და ამავე დროს საწარმოში ომის ვეტერანთა საბჭოს მდივანია. ასევე პატივისცემით სარგებლობენ წარმოების მოწინავენი, ომის ვეტერანები მ. ჭიჭინაძე, გ. ხატიაშვილი, ვ. პოსპეხოვი, ა. სეისიანი, ფ. ცვეტკოვი, ლ. ჩორნაია და სხვა მრავალი.

დღეს, როგორც ყოველთვის კვლავ ერთად შეკრიბებიან მებრძოლი მებრძოლები, მოიგონებენ განვლილ საბრძოლო ეპიზოდებს, ომში დაღუპულ თანამებრძოლებს და შესვამენ ქვეყნად მშვიდობისა და ბედნიერების სადღეგრძელოს.

თ. კინწურაშვილი.

* * *

სურათზე: პიონერები ომის ვეტერანებს ვ. პოსპეხოვს (მარცხნიდან), მ. ჭიჭინაძეს, გ. ხატიაშვილს და ნ. არფიევას ყვავილებს გადასცემენ.

ხ. კილაძის ფოტო.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲣᲛᲫᲘᲛᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲪᲓᲔᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲢᲐᲜᲔᲡ, ᲓᲐᲘᲪᲕᲔᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲘᲪᲕᲔᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲞᲝᲠᲔᲑᲘ, ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲘᲚᲘᲩᲘᲡ-ᲫᲔ ᲚᲔᲜᲘᲜᲛᲐ ᲒᲕᲘᲐᲜᲓᲠᲫᲐ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲣᲚᲛᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲛᲐᲛ ᲫᲘᲠᲔᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐ. ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲩᲐᲦᲓᲐ ᲣᲬᲐᲠᲛᲐᲖᲐᲠ ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲓᲐᲘᲪᲕᲔᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲡ ᲓᲘᲠᲡᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲘᲪᲕᲔᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲞᲝᲠᲔᲑᲘ, ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲘᲚᲘᲩᲘᲡ-ᲫᲔ ᲚᲔᲜᲘᲜᲛᲐ ᲒᲕᲘᲐᲜᲓᲠᲫᲐ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲝᲗᲐ ᲓᲘᲓᲘᲡᲯᲘᲡ ᲬᲘᲗᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲨᲔ.

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲛᲘᲐᲠᲐᲚᲔᲖᲔ

ჩვენი ცალკეული ბატალიონი, კავკასიელთაგან დაკომპლექტებული, 1300-მდე წითელარმიელს ითვლიდა.

ვართ სამშობლოდან შორს, ძაღიან შორს. ომის პირველი დღეებია, პირველი თვეა.

ბედმა მარგუნა თანამოიარაღე, ვითხოვთ ერთად უნდა გამეყო განსაცდელი.

მეგდრებმა მომიტევონ, გადარჩენილნი კი, უფუოდ არ მიწყენენ, თუ ვიტყვი, რომ ჩემს თანამოიარაღეზე უკეთილშობილესი და რაინდული სულის ახალგაზრდა არ მეგულებოდა მთელ ბატალიონში. არასდროს შემიმჩნევია მასში იმის წადილი, რომ სიძლიერეს გაქცეოდა, არც ნაბობდა, ჯოჯოხეთურ ვითარებაში რომ ვიყავით. გრიგენბაც ხელს უწყობდა — მაღალ[illegible] იყო, ტანშოლტილი, დინჯი, აუჩქარებელი. სახეზე ღიმი არ შორდებოდა.

სიტყვაძუნწი გახლდათ, მაგრამ ღიმილი, მრავლისმეტყველი კეთილი ღიმილი...

ის მაღალი იყო, ძლიერი, მე — პატარა, სუსტი!

და მაინც საბრძოლო ტვირთი თანაბრად უნდა გვეზიდა. რითაც შეეძლო, ხელდრს მიმსუბუქებდა, მით უფრო, რომ იცოდა ოჯახიდან გამოყოლილი ჩემი დიდი სევდა—ამბავი შინ დარჩენილი. სამი ბაღლისა, რომელთაგან უფროსი მამის მუხლს არ ასცილებია, და... სარეცელს მიჯაჭვული მათი დედისა, ვისი სიკვდილიც, მოგვიანებით, ფრონტზევე მაცნობეს!

და, აი, ბრძოლათა შორის მცირედი ამოსუნთქვისას რომ მივეგდეთ, რათა შეეხედოთ ცას, შეეგისრუტოთ მიწის სურნელი, — მომეკანდა ჩემი პაწია შუადანა გოგონა, ჩემი ანგელოზი, გამომეცხადა, მუსლებზე მემეფრთხიალდა. ვხედავდი, ვხედავდი ცხადად; ჩემთან არის ჩემი ბავშვი. დმერთო, რა უნდა ამ ჯოჯოხეთში!..

ახლაღა ვამჩნევ, არყის ხის დიდ შტაბელს ზურგით მიყრდნობილ ჩემს თანამოიარაღეს — ჰორიზონტისთვის მიუპყრია მზერა, ჩანახატებს აკეთებს.

და გამიელვა ნატვრამ: ნეტავ მოიხედოს, და ის ჩემთან ერთად უეცრად დაინახავს ჩემს შვილს, როგორც ვხედავ მე — მამა, და დამსტაფს, ჩქარა დამხტაფს, თორემ გამეკეცება და, ვინ იცის როდისღა დამიბრუნდება...

გულშიგე ვიხმობ სურვილს, შევეცინენ თანამოიარაღეს. რა გატაცებით ხატავს!..

ამანაც შთამაგონა ნოველა „სურათი".

ჩემი თანამოიარაღე შხატვარი გივი ჯაფარიძე იყო. ფაღლას, ის ბრძოლის ველზე დაეცა!

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲗᲝᲠᲓᲣᲐ.

ᲞᲝᲚᲘᲢᲦᲔᲚᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ



ᲘᲒᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲡ ᲘᲪᲐᲕᲓᲐ

ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲓ მრავალი საგმირო საქმე კეთდება, მაგრამ ომში თავდადებას განა სხვა რომელიმე შეედრება?! თავდადება მაშინ, როცა კაცთა საქმე ყოფნა-არყოფნით განისაზღვრება, დიდი ძალისა და ბუნების ადამიანებს სჩვევიათ. ეს წერილიც ასეთ ადამიანს ეძღვნება.

რაჭის სოფელი ქვიშარი ბადეენახებშია გაშენებული. აქაურ ცხვედიანთა საგვარეულს საამაყო შვილი აღუზრდია — ალექსანდრე ცხვედიანი... მისი სახელი დღეს სამშობლოსთვის გულმცრდგანმირეულთა სიაშია. მაგრამ გმირობით ნაწრთობ სიცოცხლეს სიკვდილი ვერასოდეს მოერევა. „ვიმყოფები რა შავი ზღვის სანაპიროზე, ვასრულებ რა საბჭოთა მოქალაქის წმიდათაწმიდა მოვალეობას, სამშობლოს დაცვისათვის ბრძოლის მომენტი კიდევ უფრო აღმაფრთოვანებს და ვიცი მამაცობის ფურცლებს ჩასწერს ჩემი ცხოვრების ისტორიაში". ამ სიტყვებით იწყება ალექსანდრე ცხვედიანის ერთი წერილი, რომელიც ახლა იმ წარსულ დღეთა მეშატიანედ გადმოგვლილა ჩვენს წინაშე.

...ომი რომ დაიწყო, ალექსანდრე სოფელ ჭყვიშის რვაწლიანი სკოლის დირექტორის მოადგილედ მუშაობდა. იგი პროფესიით ისტორიკოსი იყო. ცხვედიანთა ოჯახში ფრონტიდან მოწერილი წერილებთან ერთად რელიკვიებად ინახება ფრიადსანი სტუდენტის ჩათელის წიგნაკი და დიპლომი. ალექსანდრე პირველი მობილიზაციისთანავე წავიდა ომში და ბაქოს პოლიტმუშაკთა მოკლევადიან სასწავლებელში ჩარიცხეს. კურსების დამთავრების შემდეგ პოლიტხელის წოდებით იბრძოდა ყირიმის ფრონტზე. შემდეგ ალექსანდრე ცხვედიანი გადმოიყვანეს 394-ე მსროლელი დივიზიის 808-ე პოლკში, რომელსაც კაკასიის მისადგომებს დაცვა ჰქონდა დაკისრებული.

ეს იყო 1942 წლის ხაფხულში. ფაშისტთა ჯარები ამიერკავკასიისაკენ მოიწევდნენ. ამ დროს ჰიტლერის სპეციალური ბრძანებით კავკასიონის მთავარი ქედის დასალაშქრავად გადმოისროლეს ე. წ. ეგერთა დივიზიები. მათ უნდა განეხორციელებინათ კავკასიის დაპყრობის ოპერატიული გეგმა, რომელსაც საიდუმლო სახელი „ედელვაისი" ეწოდა. ჰიტლერელთა ამ დაჯგუფებას სამკვეროს

პრეზიდენტის ვეტო

ვაშინგტონი. (საკვლევი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა ვეტო დაადო კანონპროექტს საზღვარგარეთის სახელმწიფოებისათვის იარაღისა და სხვა სამხედრო ტექნიკის მიწოდების შესახებ. კანონპროექტი, რომელიც კონგრესმა მიიღო, მომდინარე საფინანსო წელს ამ მიზნებისათვის ითვალისწინებს 4 მილიარდი დოლარის ასიგნებას, მათ შორის 2,3 მილიარდ დოლარს ისრაელისადმი „სამხედრო დახმარებისათვის“.

თავისი გადაწყვეტილება ჯ. ფორდმა იმით დაასაბუთა, რომ კანონპროექტი შეიცავს დებულებებს, რომლებითაც დაშვებულია კონგრესის „მეტისმეტი ჩარევა“ მთავრობის საგარეო პოლიტიკურ საქმიანობაში.

დივერსანტები დააპატიმრეს

დუბლინი. (საკვლევი). ირლანდიის პოლიციამ ლაუტის საგრაფოში დააკავა სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული შეიარაღებული ადამიანების ჯგუფი. ისინი აღმოჩნდნენ ინგლისის სპეციალური ავიასადესანტო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეები, რომელებმაც უკანონოდ შეადწიეს ირლანდიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩრდილოეთ ირლანდიიდან.

ინგლისის სპეციალური ავიასადესანტო სამსახური ინგლისის არმიის დივერსიული ნაწილია, რომელიც აქტიურად მონაწილეობს კენიაში, ომანსა და ინგლისის სხვა ყოფილ კოლონიებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობაში.

მომდინარე წლის დამდეგს ამ სამსახურის ქვეგანაყოფები გადასხეს ჩრდილოეთ ირლანდიაში „მოქალაქეთა უწესრიგობის“ წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

8 მაისი

მსოფლიოს ამბები

მიწისძვრის შედეგები

რომი. (საკვლევი). ჩრდილოეთ იტალიაში, სადაც 6 მაისს ღამით ძლიერი მიწისძვრა მოხდა, მიმდინარეობს მაშველი სამუშაოები. დაღუპულთა რიცხვმა უკვე 628-ს მიაღწია, მაგრამ როგორც ვარაუდობენ, შენობათა ნანგრევებში კიდევ ბევრი ხალხია ჩამარხული. დაჭრილთა რიცხვმა ათასს გადააჭარბა.

მთლიანად დაინგრა ან ძალზე დაზიანდა 30-მდე დასახლებული პუნქტი. ათიათასობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩა, დაზიანდა გზები, ელექტროგადაცემის ხაზები, დანგრეულია ხიდები, დიდი ზარალი მიაყენა მიწისძვრამ ბევრ სამრეწველო საწარმოსა და სოფლის მეურნეობას. სტიქიური უბედურების რაიონში შეიქმნა ეპიდემიურ დაავადებათა გავრცელების საფრთხე.

ახალი ლექსები

მედეა ძახიძე

სიყვარულს გინთებთ საქმე ცეცხლებად!

კახეთის გზაზე, პატარძეულში
შინმოუსვლელთა ძეგლთან გამხმარი ბერმუხები დგას. და ზედ ზარები კიდია.

პატარძეულთან შევყოვნდებით
წუთით მგზავრები,
ვერ შეველევით ჩავუარით
საფლავს გულგრილად,
გამხმარ მუხებზე დაკიდული
უხმო ზარები
ხდუძან და ყველას გასაგონად
გული უგმინავთ.

საძმო საფლავთან დავაჩოქებ
ჩემს დვიძლ პირმშოებს,
ერთ მუშტად შეკვრავ
მივიწყებულ წლების ხიშორეს,
ის გრძელი წლები ეჩვენებათ
ჩვენს შვილებს მოკლედ,
იმ წლებმა ბევრი ასაფრენ
ოცნება მოკლეს.

შიმშილს ვიკლავდით მკვახე
ტყემლით,
მკვახე გარგარით,
გამოუცდელი გოგონები
ყანებს ვმარგლავდით,
დედებთან ერთად კვლებს
მივდევდით
წელში მოხრილი,
დაგვალულ სიმინდს
პაწაწინა ხელით ვთოხნიდით,

შიშის ზარს გვცემდა
ფარატინა შავი ქალალდი
და ნაადრევად
ცრემლებში და
დარდში დავქალდით.
გვძულდა პატარებს
წერილების დამტარებელი,
როგორც ეშმაკის მოციქული
და მწვალებელი,

მახხოვს ამრეზილ
თანატოლებს ვაიოოლებდი,
კენჭების ხროლით ფოსტალიონს
დავდევდით წყალ-წყალ.
ჩვენ რა ვიცოდით —
გულს უწყდნენ შავი უორნები,
თუ შვილის ელდა
გულის ჯიბით დაჰკონდა ხაწყალს.

ჩემი სამი ძმაც ამ გაზაფხულს
დაეცა ქერჩში
და ჭირისუფლად ჯარისკაც ძმებს
მხოლოდ მე შევრჩი,
გადავივწყე ჯერაც ბავშვმა
ცეკვა-თამაში,
სამი ძმის ხურათს შემოვაკედე
შავი მარმაში.

მერე ნელინელ
ბრუნდებოდნენ ჯარისკაცები,
ზოგი უხელოდ, ყავარჯნებით,
გულზე ვარსკვლავით,
ბრძოლის ამბებს
ჯარისკაცებს ხარბად ვტაცებდით
და ისმენდა ხადღვგრძელო
გულმოსაკლავი.

ველოდით მამებს,
გვესობოდა
გულში ხიჭვები,
მოვა? — არ მოვა? —
ასაფრენ გულს
ხელით ვიჭერდით.

... მერე მოვიდა
ათასცხრაასხრმოცდახუთი
და გამარჯვების სიმღერები
ლაკვარდებს ვასცდა,
თუმცა ცხელ გულში
კვლავაც ცხარედ ომობდა
მწუხარი,
უცხო მეომრებს ვეხვეოდით
მამების ნაცვლად.

— ჩვენ თქვენით ვგეგართ
აუღებელ სიმაღლეს, კლდეკარს,
მოვალთ საფლავთან ამ მძიმე
წლებს
მუშტივით შევკრავთ,
ამ მიწის,
ამ მზის,
ამ ხილაღის
რომ ვართ მფლობელი,
ყველაფრისათვის მხოლოდ
თქვენი
ვართ მადლობელი.

გიტირებთ ყველას, ვინც არ
ვიცით
სადა ხართ ხიზნად,
ვინც გულში გვიკრავთ
მონატრებით
ხანდახან სიზმრად,
ვინც სიმართლისთვის გადაეგეთ
უშვილძირონი,
გულს არ გაყრიათ ჩვენი მიწის
მზე და მირონი,

ვისაც მხურვალე სიყვარული
გაგეყვათ ვაზების,
ცოცხალ ბარტყივით დამარხული
დარჩით აზრები.
გამოგვიჭია გაზაფხულის
თარგი ულევი,
თქვენგან მოძღვნილი
ველ-მინდვრების თაიგულებით.

ჩვენ ყოველ იმედს,
გათენებას
თქვენდან ვიწყებთ,
სიყვარულს გინთებთ
ხაძმო ცეცხლად ღიმილის
ბიჭებს,
მოვალ, საფლავთან დავაჩოქებ
ჩემს ღვიძლ პირმშოებს...
თქვენზე ტკივილებს
სიკვდილამდე ვერ მოვიშორებ.

9 მაისი — გამარჯვების დღეა



გამარჯვების პარკი თბილისში

ს. კილაძის ფოტო.

ტაშკენტის კინოფესტივალზე

19 მაისს ტაშკენტში აღმართება აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების მე-4 საერთაშორისო კინოფესტივალის ალამი. მისი დევიზია „მშვიდობის, სოციალური პროგრესისა და ხალხთა თავისუფლებისათვის“.

ფესტივალზე საბჭოთა კინოხელოვნებას წარმოადგენენ შოა აზიის, ცომბორისა და ამიერკავკასიის სტუდიები.

ფესტივალის ეკრანებზე ნაჩვენები იქნება ქართველ კინემატოგრაფისტთა ხუთი ახალი ნამუშევარი. ესენია — კინოალმანახი „სიყვარული, დიდი არს ძალა შენი“ (დამდგმელი რეჟისორები რ. ჭარხალაშვილი, რ. გაბრიაძე, ა. დარსაველიძე და ბ. წულაძე), მხატვრული ფილმი „დაუპატიჟებელი სტუმრები“, რომელიც შ. არაგვისპირელის მოთხრობის „ღვინის ქურდების“ მიხედვით გადაიღო რეჟისორმა ვ. კვაშამ, რეჟისორ ბ. რაჭველიშვილის მოკლემეტრაჟიანი ფილმი „კაკუნები“ და მულტიპლიკაციური ფილმები — „სტუმარი“ რეჟისორ ო. ანდრონიკაშვილისა და „ჩიბუხი“ რეჟისორ ს. დოიაშვილისა.

მილიონი ტურისტი

კომკავშირის XV ყრილობის სახელობის სოხუმის ტურისტული ბაზა ერთ-ერთი კეთილმოწყობილი ჯანმრთელობის კერაა აფხაზეთში.

ტურბაზა (დირექტორი გ. მიშველიანი) არსებობის მანძილზე მოემსახურა მილიონზე მეტ სტუმარს, მათ შორის 20 ათას უცხოელ ტურისტს.

განსაკუთრებით წარმატებით იმრამა ტურბაზის კოლექტივმა მეცხრე ხუთწლედში. ამ ხნის განმავლობაში სახელმწიფომ მიიღო 1 მილიონ 278 ათასი მანეთი მოგება.

ტურისტულმა ბაზამ უკვე მეათედ გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ამ დღეებში აქ გაიმართა 1975 წლის შედეგების მიხედვით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური საბჭოს და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის საზეიმო გადაცემა.

ტურბაზის კოლექტივს ჯილდო გადაეცა ტურიზმისა და ექსკურსიების აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ ი. კვიწინიამ.

ჭადრაკი

დაწინაურდა ალექსანდრია

ბუდაპეშტში გადამწყვეტ ფაზაში შედის ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ევროპის ქვეყნების 14 მოჭადრაკე მონაწილეობს.

ბრძოლა პირველი პრიზისათვის ძირითადად ალექსანდრიასა და ცნობილ საერთაშორისო ოსტატ მარია ივანჯას (უნგრეთი) მორის მიმდინარეობს. ამასთან უკანასკნელ მოეხლტამდე ივანჯა ლიდერობდა, ნახევარი ქულით უსწრებდა მეტოქეს.

გაიმართა 9 ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრება. ალექსანდრიამ მოიგო გადადებული პარტია და 9 თამაშიდან 7,5 ქულით პირველ ადგილზე გადაინაცვლა. 7 ქულა აქვს ივანჯას, ამასთან ერთად უნგრელმა მოჭადრაკემ ერთი პარტიაც უნდა დაამთავროს, სადაც მძიმე პოზიცია აქვს.

საქართველოს პირველობაზე

საქართველოს საჭადრაკო ჩემპიონატში დამთავრდა 3 ტურის შემდეგ გადადებული პარტიები.

თბილისის ჩემპიონმა, ოსტატობის კანდიდატმა გედეონიშვილმა, რომელმაც ტურნირი ორი დამარცხებით დაიწყო, ამჯერად გამოიყენა მატერიალური უპირატესობა და სძლია ოსტატ ზაიჩიკს. მაია ჩიბურდანიძემ, რომელსაც ზედმეტი პაიკი ჰქონდა, ზუსტად ითამაშა ენდშპილში და მოუგო ოსტატობის კანდიდატ მაჭარაშვილს. ახლა მაიას 3 თამაშიდან 1,5 ქულა აქვს.

შეჯიბრებას 2,5 ქულით ლიდერობს ოსტატობის კანდიდატი კაპანაძე. ორ-ორი ქულა მოაგროვეს საქართველოს ჩემპიონმა სტურუამ, ოსტატმა ჯანიევამ და ოსტატობის კანდიდატმა ცქიტიშვილმა.

ველოდრომი

„დიდი პრიზი“ — ა. იაგლუნოვსკის

თბილისის ცენტრალურ ველოდრომზე დამთავრდა „საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზის“ გათამაშება. სპრინტერთა ამ დიდი ტურნირის ნამდვილ გმირად იქცა საბჭოთა მრბოლი ა. იაბლუნოვსკი — სსრ კავშირის ხალხთა მეექვსე საზაფხულო სპარტაკიადის ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი. ყველა რბოლა მისი მონაწილეობით ა. იაბლუნოვსკის გამარჯვებით მთავრდებოდა. ფინალში პირველი-მეორე ადგილებისათვის ა. იაბლუნოვსკი შეხვდა ტანდემით ოლიმპიურ ჩემპიონს ვ. სემენეკს და ორივეჯერ მოიგო. ამრიგად, „საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზი“ ა. იაბლუნოვსკის მოიპოვა. მესამე ადგილისათვის რბოლაშიც საბჭოთა სპრინტერები მონაწილეობდნენ — ა. ვორონინი და ა. ოლოკოვი. გაიმარჯვა ვორონინმა. თბილისელი ი. ვოლკოვის მეოთხე ადგილი მსოფლიოს 27 უძლიერეს მრბოლთა შორის დიდ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ. მან მარტო გამარჯვებისაკენ დიდი სწრაფვა კი არ გამოავლინა, არამედ ჩინებული ტაქტიკური ოსტატობაც, ლამაზად მოუგო მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონს ა. ტკაჩს (ჩეხოსლოვაკია) და ადრის ჩემპიონს ზ. შრაიბერს, აგრეთვე სამიდან ერთი რბოლა თვით ოლიმპიურ ჩემპიონს ვ. სემენეკს.

ჩვენ ვთხოვეთ ა. იაბლუნოვსკის გამარჯვებისათვის კომენტარი გაკეთებინა ცნობილ იტალიელ მწვრთნელს ვეგდო კოსტას: „ა. იაბლუნოვსკი ახლა უეჭველად ერთ-ერთი უძლიერესი სპრინტერია მსოფლიოში, — გვითხრა მან, — ვფიქრობ, რომ თქვენს ომარ ფხაკაძეს, რომელიც მწვრთნელად მუშაობს, ღირსეული მეტოქედრე გამოადგა. ოლიმპიურ თამაშებზე იგი ოქროს მედლის ერთ-ერთი პრეტენდენტი იქნება“.

ბ. ქვათაძე.

ფეხბურთი

დაიწყო მორიგი ტური

გუშინ მოსკოვში ცსკა-სა და მინსკის „დინამოს“ შეხვედრით დაიწყო „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტური. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 2:0 არმიელთა სასარგებლოდ.

დღეს ჩვენი ქვეყნის კიევ ვშედ ქალაქში გაიმართება შეხვედრები: „ლოკომოტივი“ — „ტორპედო“, „კრილია სოვეტოვ“ — „დინამო“ (მოსკოვი), „ზენიტი — „სპარტაკი“, „არარატი“ — „დინამო“ (კიევი) — „დნეპრი“, „ზარია“—„მბატორი“

თბილისის „დინამო“ ოდესაში ხვდება გათამაშების ლიდერს — ადგილობრივ „ჩერნომორეცს“. ამ მატჩის მეორე ნახევრის რადიორეპორტაჟი დაიწყება 18 საათზე თბილისის დროით.

მატჩი ქუთაისში

გუშინ ქუთაისში „ტორპედო“ „ა“ კლასის პირველი ლიგის ჩემპიონატში მასპინძლობდა ალმა-ათის „კაირატს“. შეხვედრა დამთავრდა ფრედ 0:0. მასპინძლებმა (ეხონელიძემ) ვერ გამოიყენეს 11-მეტრიანი საჯარიმო, რომელიც მოსკოველმა არბიტრმა ვ. ლიპატოვმა დანიშნა თამაშის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე.

საჭადრაკო კუნძული „მეფანი“

საჭადრაკო კომპოზიტორთა საერთაშორისო კონგრესის აღსანიშნავად, რომელიც ზარშან, ოქტომბერში თბილისში გაიმართა, მზადდება სპეციალური გამოცემა. განზრახულია ამ კრებულში სხვადასხვა მასალებთან ერთად გამოქვეყნდეს ამოცანებისა და ეტიუდების პატარა კოლექცია — კოხგრესის მონაწილეთა მიერ შერჩეული თითო საუთარი ნაწარმოები.

ამასთან დაკავშირებით, გამოჩენილი საბჭოთა პრობლემისტის **ევგენი უმნოვისაგან** (მოსკოვი), რომელიც კონგრესის სტუმარი იყო, მივიღეთ 31 წლის წინათ „შახატი ვ სსრკ“-ში გამოქვეყნებული მისი ორსვლიანი ამოცანა შემდეგი კომენტარით: „მე შევჩერდი ამ ამოცანაზე (იხ. დიაგრამა). იგი იმიტომ მომწონს, რომ თითქოსდა, ურიგო არ გამომივიდა, აგრეთვე იმიტომაც, რომ მასთან დაკავშირებულია ომის წლების მოგონებები — ეს კომპოზიცია მძიმე დროს — 1943 წელს შევადგინე მდინარე ვოლხოვის ნაპირებთან, ხადაც ჩვენი ჯარის ნაწილები იყო განლაგებული.

იმედია, მკითხველები ინტერესით გაეცნობიან საბჭოთა არმიის ოფიცრის, ამჟამად ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის და საერთაშორისო ოსტატის ე. უმნოვის ამ შინაარსიან ნაწარმოებს, შედგენილს სტრატეგიული საამოცანო სკოლის ერთ-ერთ შთამბეჭდავ თემაზე. ამ თემის სახელწოდებაა „სარქველი“, ხოლო მისი არსი შემდეგში მდგომარეობს: მუქარისაგან დაცვის მიზნით შავები თავის ფიგურას გზას უხსნიან, რაც, სამაგიეროდ, მეორე შავ ფიგურას კეტავს.



ველით თქვენს ამოხსნებს და შეფასებას, ძვირფასო მეგობრებო.

ვ. ნეიძე.

ვინ ამოხსნა

„კომუნისტის“ 11 აპრილს ნომერში გამოქვეყნებული კ. მუხსფალლის ორსვლიანი ამოცანის ამოხსნაა 1. კხ2!

ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც პირველმა გამოგვიგზავნა სწორი პასუხი: გ. ბერაშვილი (ყვარლის რ. საბუე), თ. ჯიხვაშვილი (თეჯოლის რ. გოგნი), ო. მწყერაშვილი, მ. ქვლივიძე (ორივე — საგარეჯო), რ. კახიძე (ნელვაჩაურის რ. ჩხუტუნეთი), ა. ვასაძე, ბ. კუცია (ორივე — ბათუმი), ბ. ონიანი (ლენტეხი), ა. შათირიშვილი, ბ. მეფარიშვილი (ორივე — ქობულეთი), მ. ბუგაიანშვილი, თ. ყულჯანიშვილი, მ. გვაზავა (ყველა — ოზურგეთი), ვ. ჩინჩარაძე, ბ. შეყილაძე (ორივე — ქიათურა), ა. და ჯ. ჭიპაშვილები (ორჯონიკიძის რ. ისლარი), მ. ბიწურაშვილი, გ. ტყეებუჩავა, გ. ლომაია (ყველა — ცხაკაია), ა. კაკულია, ა. თოლორდავა (ორივე — ჩხორწყუ), ე. სამხარაძე (ორჯონიკიძის რ. ლაშე), ზ. და ნ. კიკნაძეები (ხაშურის რ. ბეღაურა), ა. შიოშვილი (საგარეჯოს რ. ნინოწმინდა), რ. კვარაცხელია (წალენჯიხა), ზ. ოთა სულაძე (ონის რ. ირი), ზ. სოხიშვილი (ნორიო), ჯ. ცაგარეიშვილი (წულუკიძის რ. კუხი), დ. ლეკვეიშვილი (სამტრედიის რ. იანეთი), მ. ბერიშვილი (ონის რ. ლოდა), გ. ჩიხლაძე (გორი), გ. ზარდიაშვილი (გურჯაანი), ე. ფილიშვილი (ელესტეხი), ჭ. ბარბაქაძე (ლაგოდეხის რ. ჭაბუკიანი), მ. ლატარია (ხობის რ. ხეთა), ე. ცქვიტაია (ჩხოროწყუს რ. ჭოდა), ტ. გოცაძე (ქიათურა, ხრეითი), ვ. ასთიანი (დმანისი), თეჯოლის საშუალო სკოლასთან არსებული ჭადრაკის წრის წევრები, მ. მამალაძე, დ. წოწკოლაური, ა. ჭყეშვილი, ს. ხუნდიკაშვილი, ნ. ბეკალავა, გ. თორდია, ა. ღირსიაშვილი, ვ. კაკაბაძე, ა. ვეფხვაძე, თ. თეთრუაშვილი, ჯ. ნიკურაძე, ვ. ბურჯანაძე, გ. როგავა, გ. ჭოჩიჩაშვილი, ა. თათულაშვილი, ფ. კოტლამაზაშვილი, გ. ქადაგიშვილი (ყველა — თბილისი).

სუფრობით უთქვამთ...

კარლსბადის საერთაშორისო ტურნირზე (1911 წელი) ალიოხინმა მე-8-მე-11 ადგილები გაიყო. ამის გამო მის შესახებ გაზეთები წერდნენ, რომ იგი „ფრიად ნიჭიერი რუხი ახალგაზრდაა, რომელიც ძალზე შორს წავა“.

შემდეგ ხუმრობდნენ, რომ ალიოხინმა ამ მოლოდინს დიდად გადააჭარბა და „მეტისმეტად შორს წავიდა“.

კაპაბლანკა-ალიოხინის მატჩის დროს (1927 წელი) მოეწყო იმ დროისათვის ცნობილი მოკრივეების ხერეის და რენკინის შეხვედრა. ხერეიმ, რომელიც კაპაბლანკას თაყვანისმცემელი იყო, ნოკაუტში ჩააგდო რენკინი. თუმცა დამარცხებულმა მოახერხა ეთქვა:

— მატჩი ხომ მაინც ალიოხინმა მოიგო!

სსრ კავშირის XXIX ჩემპიონატის ერთ-ერთი ტურის წინ ტალი ბაჭოს ხანაპირზე სეირნობდა. მასთან მივიდა ხანში შესული მამაკაცი და უთხრა:

— ახალგაზრდავ, თქვენ საოცრად შეგავართ დიდოსტატ ტალს. თუმცა ტალი უფრო ოლიდურად გამოიყურება, მე იგი გუშინ ვნახე ტელევიზორით.

— ვიცი, ვიცი, — უპასუხა ტალმა. — ეს ჩემთვის მრავალჯერ უთქვამთ.

— ეს ჩვენი ახალი თანამშრომელია. როგორი მუშაკია, ჯერჯერობით ვერ გეტყვი, მაგრამ კაბინეტში შემოსვლის მისი მანერა ძალიან მომწონს...

ხტანისლავ ზიარნკოვსკის ნახატი. „პოლსკიე ობოზრენიე“.

ვოლხოვის პირას

ოფიცრის, ამჟამად ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის და საერთაშორისო ოსტატის ე. უმნოვის ამ შინაარსიან ნაწარმოებს, შედგენილს სტრატეგიული საამოცანო სკოლის ერთ-ერთ შთამბეჭდავ თემაზე. ამ თემის სახელწოდებაა „სარქველი“, ხოლო მისი არსი შემდეგში მდგომარეობს: მუქარისაგან დაცვის მიზნით შავები თავის ფიგურას გზას უხსნიან, რაც, სამაგიეროდ, მეორე შავ ფიგურას კეტავს.

ველით თქვენს ამოხსნებს და შეფასებას, ძვირფასო მეგობრებო.

ვ. ნეიძე.

გიწვევთ „ცისკარი“

თბილისის ახლოს, სოფელ ცხვარიჭამიაში, იქმნება დასასვენებელი ბაზა „ცისკარი“. აქ უკვე მოეწყო კულტურის, განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების პიონერთა ბანაკები, კეთილმოწყობილია ტერიტორია.

წელს „ცისკარში“ საექსპლოატაციოდ გადაეცემა კურორტების მართვის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის სანატორიუმის. ტიპის პიონერთა ბანაკები.

გაისად ბავშვთა ამ გამაჯანსაღებელ უბანს შეემატება ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოსა და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის პიონერთა ბანაკები და დასასვენებელი ბაზები.

უახლოეს წლებში „ცისკარში“ გაიხსნება თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის, სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების, საწარმოო-ტექნიკური გაერთიანებების „ელექტროხელსაწყოსა“ და „ელექტროაპარატის“, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატისა და სხვა პიონერთა ბანაკები. (საქინფორმი).

ახალი შენობები

ფოთი. დღითიდღე იზრდება და ლამაზდება ქალაქი. დიდი სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს ნავსადგურში. აქ მალე აშენდება საღისპეტჩერის ახალი შენობა და 60-ბინიანი საცხოვრებელი სახლი. მიმდინარეობს გემმისადგომების კეთილმოწყობა. ნინოშვილის ქუჩის კი ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი დამშენებს.

ა. კოვახიძე.

„საქართველოს გუნება“ № 4

გამოვიდა ყოველთვიური სამეცნიერო - საწარმოო-პოპულარული ჟურნალი „საქართველოს ბუნების“ მორიგი, მეოთხე ნომერი.

□

სპორტი

შურისძიების მიზნით...

გაბრის № 5 სამრეწველო ბაზწარმოთა კომბინატის სამუშაოთა მწარმოებელი დ. კუკავა ბურნაძიების გრძნობამ შეიპყრო, როცა გაიგო, რომ იმდინარეობს დათხოვა იგი ცეკვენტის დანაკლისის გამო და სახალხო სასამართლოს გადასცა სარჩელი საწარმოსათვის მიყენებული ზარალის გამო 460 მანეთის გადახდევინების შესახებ.

გაგრის თეგზის ქარხნის ვარაგში, სადაც სამრეწველო საწარმოთა კომბინატის დირექტორის მსუბუქი მანქანა იდგა, ღამით აფეთქების ხმა გაისმა.

...რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა კუკავა, უკვე ქალაქ გაგრის სამომხმარებლო საზოგადოების მინის ტარის საწყობის გამგედ მუშაობდა, ამხილეს ჩადენილ დანაშაულში. გაჩხრეკის დროს მას შინ უპოვეს კაფსულ-დეტონატორი და ბიკფორდის ზონარი.

სასამართლომ კუკავამ აღიარა, რომ დანაშაული ჩაიდინა შურისძიების მიზნით, რომ თვითონვე დაამზადა ასაფეთქებელი მოწყობილობა, ღამით გარაჟის ტერიტორიაზე შეიპარა და ავტომანქანა აიფეთქა.

კუკავას დანაშაული მთლიანად დაადასტურა ძიების მასალებმა და მოწმეთა ჩვენებებმა. ქალაქ გაგრის სასამართლომ დ. ნ. კუკავა დამნაშავედ ცნო ჩადენილ დანაშაულობებში, რომლებსაც საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 157 და 238 მუხლები ითვალისწინებენ და მას მიუსაჯა ოთხი წლის პატიმრობა „გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში. მას გადაახდევინეს ავტომანქანის აფეთქებით გამოწვეული ზარალი მანქანის მფლობელს სასარგებლოდ.

თ. ჯიბუტი,
ხაქინფორმის კორ.

რედაქტორი
დ. მგელიშვილი.

მიწისძვრის შედეგები

რომი. (საკვლევი). ჩრდილოეთ იტალიაში, სადაც 6 მაისს ღამით ძლიერი მიწისძვრა მოხდა, მიმდინარეობს მაშველი სამუშაოები. დაღუპულთა რიცხვმა უკვე 628-ს მიაღწია, მაგრამ როგორც ვარაუდობენ, შენობათა ნანგრევებში კიდევ ბევრი ხალხია ჩამარხული. დაჭრილთა რიცხვმა ათასს გადააჭარბა.

მთლიანად დაინგრა ან ძალზე დაზიანდა 30-მდე დასახლებული პუნქტი. ათიათასობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩა, დაზიანდა გზები, ელექტროგადაცემის ხაზები, დანგრეულია ხიდები, დიდი ზარალი მიაყენა მიწისძვრამ ბევრ სამრეწველო საწარმოსა და სოფლის მეურნეობას. სტიქიური უბედურების რაიონში შეიქმნა ეპიდემიურ დაავადებათა გავრცელების საფრთხე.

9 მაისი

მსოფლიოს ამბები

ტელეტაიპის ლენტიდან

მოკლედ

პარიზი

● **საფრანგეთში** კვლავ **ძვირდება ფართო მოხმარების საგნები.** სტატისტიკისა და ეკონომიური კვლევის ეროვნული ინსტიტუტის მონაცემების თანახმად, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ფასებმა 2,7 პროცენტით მოიმატა. მაგრამ ქვეყნის წამყვანი პროფკავშირული გაერთიანებების — შრომის საყოველთაო კონფედერაციის აზრით, სინამდვილეში ფასების ზრდა გაცილებით უფრო მეტი იყო.

ნიუ-იორკი

● **გაფიცვა გამოაცხადეს ნიუ-იორკის შტატის ორი ოლქის სკოლების 700-მდე მასწავლებელმა.** მასწავლებლები პროტესტს აცხადებენ თავიანთი კოლეგების მასობრივი დათხოვნის წინააღმდეგ. ხელისუფალნი ამტკიცებენ, რომ ამას „ადგილობრივი ბიუჯეტების შეზღუდვა“ მიზნით სჩადიან.

დელი

● **ინდოეთის** მთავრობა აპირებს ქვეყანაში დარჩენილი უცხოეთის ორი უკანასკნელი ნავთობის კომპანიის „კალტექსისა“ და „ესამ ოილ კომპანის“ ნაციონალიზაციას. ეს განაცხადა ინდოეთის ნავთობის მრეწველობის მინისტრმა ჯ. დ. მალავიამ. ამჟამად მმართველობს მოლაპარაკება სახელმწიფო სექტორისათვის ამ ფირმების საკუთრებისა და აქტივების გადაცემის შესახებ.

კომუნისტი 380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-93-03, 99-03-09, პ/მ3 მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-24, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, ნერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЦ 02285

ტელევიზია

9 მაისი

პირველი პროგრამით

10.30 — „მაღვიძარა“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — ბავშვებისათვის ქართული მხატვრული ფილმი „ბიჭები ისამნის ქუჩიდან“, 12.00 — გადაცემა „ჯარისკაცის სახლი“, 12.20 — საესტრადო სიმღერები დიდ სამამულო ომზე, 13.00 — „მუსიკალური კიოსკი“—ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30— „კინოს მოკვარულთათვის“, 14.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „იმ ქარცეცხლიან დღეთა ქრონიკა“, 16.00 — „დღეს გამარჯვების დღესასწაულია“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.15 — „ომი გერანზე“, 16.55— „საერთაშორისო პანორამა“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.25 — კინოფიშა, 17.50 — ა. სალუქვაძე — „სონეტების გვირგვინი“ ფერადი გამოსახულებით, 18.10 — ქართული დოკუმენტური ფილმი „რეპორტაჟი ნიღერლანდებიდან“ — პრემიერა ფერადი გამოსახულებით, 19.00 — მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიცია „სახელი შენი უკვდავებაა!“, 19.50 — „დუმილის წუთი“—ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.10 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.35— „გამარჯვების გაზაფხული“. ფერადი გამოსახულებით, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: პირველი ლიგა — — „ტორპედო“ (ქუთაისი) — „კაირატი“ (ალმა-ათა) 8 მაისის მატჩის II ტაიმის ვიდეოჩანაწერი.

მეორე პროგრამით

18.05 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „ვალსი“, 19.10 — კონცერტი, 19.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „1945 წლის ზამთარი და გაზაფხული“ (IV სერია), 20.40 — მხატვრული ფილმი „ალი“ (II სერია).

10 მაისი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — „კინომოგზაურთა კლუბი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.05 — ნახატი ფილმი, 18.25 — განცხადებები, 18.30 — მოსწავლეთათვის — გადაცემა „გზაჯვარედინზე“, 19.00 — „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.20 — „ეანვარსრცილოთ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი“, 19.45 — ნახატი ფილმი, 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — ჩეხოვი „ალუბლის ბაღი“ სატელევიზიო სპექტაკლის პრემიერა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — სატელევიზიო სპექტაკლი „ალუბლის